წლიწადი პირველი. № 2. ფასი 10 კაპ. კვირა, 22 მარტი 1909 წ.

# იალქანი

ყოველკვირეული სამეცნიერო, საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

რედაქციის დროებითი ადრესი: Тифлисъ, Елисаветинская ул. № 17. Типографія М. Д. Кикнадзе.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, Г-ну Михаилу Давидовичу Кикнадзе, Елисаветинская ул. № 17.

**შინაარსი:** ბალკანეთის საქმეების გამო. — პროფესიონალური და პარტიული ინტერესები. — ნ. ვ. გოგოლი — სახელმწიფო დუმაში — ამონაკვნესი (ლექსი) ლ. დარჩიასი. — Materialismus Militans. გ. პ—ისა. — კარლ მარქსის ეკონომიური პრობლემები შვარცისა. — შინაური ამბები. — რუსეთის ცხოვრება. — უცხოეთი. — კაპიტალისტური კონცენტრაცია. — მუშათა შორის. — პროვინცია. — მოწოდება. — წერილი რედაქციისადმი.



## ბალკანეთის საქმეების გამო

—:—

### თფილისი, 22 მარტი

რუსეთის იმპერიას მარტო შინაური ცა როდი დაჰყურებს პირქუშათ. კარგა ხანია თვით საგარეო პოლიტიკის ჰორიზონტები ლეგა ღრუბლებით არის წაგრაგნული. და ეს არც საკვირველია. დღეს სახელმწიფოთა შორის ისეთი მჭიდრო ურთიერთობაა, რომ შინაურ სიავესა თუ სიკეთეს აუცილებლათ თანა სდევს საგარეო სიავე თუ სიკეთე. ზედ მეტათ, ამ ბოლო დროს, დღიდან ოსმალეთის განახლებისა, საგარეო ჰორიზონტები საერთოდ ძალიან არეულია და დამაფიქრებელი.

ეს ერთი ხანია ევროპის სახელმწიფოებს გადააწვა შავი ღრუბელი ავსტრია-სერბიის კონფლიქტის სახით, რომელიც წამ და უწუმ გვიქადის საზარელ ქარიშხალათ, საერთო საევროპიო გრიგალათ გადაქცევას. თუ ავსტრია-ჰუნგრეთსა და სერბიას შორის ომი ასტყდა, ვერავითარი გამჭრიახი დიპლომატია ველარ შეიძლებს მის ლოკალიზაციას, ერთ ადგილზე შემოფარგლვას. თვით ოსმალეთი, რა გინდ ეცადოს, ვერ შეიძლებს დაიცვას სასტიკი ნეიტრალიტეტი. ნაციათა სახელმწიფო, რომლის პარლამენტში ხელმძღვანელ პარტიის აღშფოთებას იწვევს მარტო სიტყვა „დეცენტრალიზაცია“, ასეთი სახელმწიფო არ არის — არ შეიძლება იყოს — კატასტროფებისაგან უზრუნველყოფილი. ნაციონალური საკითხი უმწვერვალესათ ამღელვარებს მაკედონიას, ალბანიას, არაბეთს, ოსმალოს სომხურ პროვინციებს. ბალკანეთის დაჩაგრული ერები უკვე კარგა ხანია იბრძვიან — სწორის თუ შემცდარი გზით, მაგრამ მაინც იბრძვიან ნაციონალურ უფლებების მოსაპოვებლათ. და თუ ომი ასტყდება, იგინი ალბათ, არ დარჩებიან გულ-ხელ დაკრეფილნი. ომის შორიდან მაყურებელი ვერ დარჩება თვით იტალია. და ბალკანეთში სახელმწიფოებრივ საზღვრების მცირეოდენ ცვლილების უმალვე რომ ფეხზე ადგება გერმანია, ინგლისი და საფრანგეთი, ეს ყველასთვის უკვე აშკარა არის. ყველა ეს სახელმწიფონი იმდენათ განვითარებულნი არიან ეკონომიურათ, რომ მათთვის მუდმივი კაპიტალისტური

სულის კვეთებაა: „გავლენათა სფერების“ გაფართოება და ახალ-ახალი ბაზრების დაპყრობა.

რუსეთი? ეს, რა თქმა უნდა, ჯერ არ არის იმდენათ განვითარებული, რომ ხსენებული მისწრაფება მისთვის იმდენადვე მწვავე და სამკვდრო-სასიცოცხლო იყოს, მაგრამ რუსეთს გარეთ გასვლას უკარნახებს სწორეთ ეკონომიური უკან ჩამორჩენა. ულაჯო საწარმოვო ძალები მუდამ მეტ ტერიტორიას ითხოვენ ოდნავათ მაინც დამაკმაყოფილებელ შედეგის მისაღებათ. ამასთანავე რუსეთი ჰხედავს, რომ მომავალში მას იგივე ეკონომიური ვითარება ელის, როგორშიაც დღეს იმყოფებიან კაპიტალისტურათ დაწინაურებული ქვეყნები. და რატომ არ უნდა ეცადოს აქედანვე დაიჭიროს ადგილები, რომ ხვალ ეს უკვე დაგვიანებული არ იყოს. გარდა ამისა, მოგეხსენებათ, რუსეთი, დიდი ხნიდანვე, სლავიანთა მოდგმის ყველა ერებს თავის წილხდომილათ სთვლის. და თუ პანსლავიზმს როდისმე ჰქონია საბაბი პრაქტიკულ ნაბიჯების გადასადგმათ, ასეთი საბაბი სწორეთ დღეს არსებობს. მიუხედავათ ყველა ამისა, რუსეთი დღეს მშვიდობიან პოლიტიკას ადგა. ასე გაშინჯეთ, ომის წინაალმდეგნი არიან თვით ის ბატონები, რომელნიც შორეულ აღმოსავლეთის ომის დაწყების წინახანებს ტოკიოში აპირებდენ იაპონიისათვის კაპიტულაციის პირობების დაწერას. სულიერ განწყობილების ასეთი შეცვლა არ არის ძნელი გასაგები. გაიხსენეთ, რომ ამას წინათ, როცა სიტყვა ჩამოვარდა სახელმწიფოს სამხედრო ძალების შესახებ, თვით ოქტომბრისტების ბელადმა, გუჩკოვმა, დუმის ტრიბუნიდან ერთობ პესიმისტური „დეკლარაცია“ წაიკითხა. მას დაეთანხმა თვით მთავრობის წარმომადგენელი, სამხედრო მინისტრი, — ეხლა უკვე ex — მინისტრი — ღენ. რედიგერი, რომელმაც განაცხადა, „არმიის მოკამანდეთა შედგენილობა მართლაც არ არის საფარსაგოვო“. მემარჯვენენი ხმა მაღლა აღიარებენ, რომ მათ გარეთ საომრათ ხელები შეკრული აქვთ „შინაურ მტრებთან“ ბრძოლის გამო. და ორი კურდღლის მდევართ შეიძლება ერთიც დაგვეკარგოსო, — სამართლიათ დაასკნიან იგინი.

უნდა შევნიშნოთ, რომ საომრათ „ხელები მთლად თავისუფალი“ არა აქვთ არც ევროპის სახელმწიფოებს, რადგან იქ სოციალურ პრობლემის გარშემო უკვე მუშათა ძლიერი მოძრაობაა. ამიტომაც საერთო ომიანობის წინაშე ევროპა უკან იხევს და გაჩენილ კონფლიქტის გადაჭრას დიპლომატიური გზით და საერთაშორისო კონფერენციით ცდილობს. მაგრამ უახლობელეს მეტოქის—რუსეთის—დღევანდელ მდგომარეობით წათამამებული ავსტრია არა ჰნებდებათ. ავსტრიის მმართველ წრეებში უკმეხათ აცხადებენ: „სერბიის საკითხი უნდა მოისპოს ერთხელ და სამუდამოთო“... უკანასკნელ ცნობებით, სერბია დათმობას ირჩევს და უკან იხევს. და ეს არის საუკეთესო საშუალებაც ომის თავიდან ასაცილებლათ.

ჩვენის აზრით, დათმობის გზა დღეს სერბიისათვის საუკეთესო პოლიტიკაა... მაგრამ რაც უნდა დიდი იყოს კარზე მომდგარი უბედურება, პატარა ერს მაინც არა ჰმართებს სასოწარკვეთილება. თანამედროვე ეროვნების მოსპობა შეუძლებელია. დღეს, როცა სამოქმედო ასპარეზზე გამოსულია მუშათი კლასი, როცა ნაციონალურ კულტურის თანაზიარი ხდება მთელი ხალხი და ერი უკვე მთელის არსებით ფეთქავს ნაციონალურ სულით. დღეს, ვიმეორებთ, შეუძლებელია ეროვნების მოსპობა. როგორც ინდივიდუალური ორგანიზმი სხვა და სხვა მიკრობების და ბაცილების შხამის წინაალმდეგ თავის წიაღშივე ავითარებს მათ დასაძლევ თერიაყს, ისე განმტკიცებული სოციალური ორგანიზმებიც, დღევანელი ეროვნებანი გარეშე ძალმომრეობის წინაალმდეგ თავის არსებაშივე აორკეცებენ სასიცოცხლო ძალებს, იალმასებენ ენერგიას ნაციონალურ თვითარსებობის დასაცავათ და განსავითარებლათ.

---

## პროფესიონალური და პარტიული ინტერესები.

### I.

იმის დაგვარათ, როგორც წინ მიდის საზოგადოებრივ ადამიანის განვითარება, იზრდება და მრავალ-ფეროვანდება ამ ადამიანის მოთხოვნილებანი, იზრდება და ვითარდება აგრეთვე საშუალებანი ამ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ, ე. ი. იზრდება და რთულდება საზოგადოებრივი ურთიერთობანი, ე. ი. ვითარდება საზოგადოებრივი ცხოვრება. ეს კი თავის თავად იგულისხმებს ადამიანების სხვა და სხვა ჯგუფებათ და ორგანიზაციებათ დაწყობა-დარაზმვას, რადგან მუდამ მოზარდ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ საჭირო მუდამ მოზარდი შრომა-მოქმედების ნაყოფიერება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ერთის გზით: შრომის სპეციალიზაციით, სხვა და სხვა დარგებათ დაყოფა-დანაწილებით, მის ხელ ახალ შეჯგუფებით და უმაღლეს კონცენტრაციით. და რა კი ადამიანთა შრომა მიუცილებლათ საზოგადოებრივი ხასიათისაა, აღნიშნული პროცესიც უეჭველათ ჰნიშნავს თვით ადამიანების დიფერენციაციას, სხვა და სხვა ჯგუფებათ დაყოფა-დანაწილებას. საზოგადოებრივ ძალების ასეთი დაყოფა-დარაზმვა მით უფრო რთულია და მასთან სასტიკი, რომ არსებობისათვის ბრძოლას, რასაც კაცობრიობა აწარმოებს გარშემორტყმულ ბუნებასთან, დღევანდლამდე განუშორებლივ თანა სდევს ბრძოლა თვით საზოგადოების გულში, თვით ადამიანთა შორის; ბრძოლა, რომლის ხორცშესხმული გამოხატულებაა სწორეთ კლასთა ბრძოლა და რომლის მთელი შინაარსია წუთი-სოფლის სიამეთა და სიკეთეთა განაწილება.

ადამიანთა ჯგუფები და ორგანიზაციები თანამედროვე საზოგადოებაში მრავლისაგან მრავალია. ხოლო ყველა ამათი მთავარი და დიდი კატეგორიებია ეკონომიური და იურიდიულ-პოლიტიკური ორგანიზაციები. ადამიანის თვით უმაღლესი მოქმედების ორგანიზაციები,

რომელთა პირდაპირი საგანი სძევს სულიერ კულტურის სფერაში, ან პირდაპირ დაკავშირებულნი არიან ეკონომიურ და იურიდიულ-პოლიტიკურ ორგანიზაციებთან, ან ამათ საშუალებით ემსახურებიან თავიანთ მაღალ მიზნებს. ამ წერილში ჩვენ ვეხებით ეკონომიურ ორგანიზაციების მხოლოდ ერთ დარგს—პროფესიონალურ კავშირებს, და პოლიტიკურ ორგანიზაციების მხოლოდ ერთ დარგს—პარტიებს, ამასთანავე, ვეხებით მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ამას მოითხოვს ჩვენი სპეციალური მიზანი. აქედანვე შევნიშნავთ, რომ საზოგადოთ, ეკონომიური და პოლიტიკური ორგანიზაციები თუმცა ფორმალურათ განცალკებული სდგანან, მაგრამ ნამდვილათ განუყრელათ არიან ერთმანეთზე გადაჯაჭულნი, რადგან თვით ეკონომიკა და პოლიტიკა მხოლოდ ორი სხვა და სხვა მხარეა, სხვა და სხვა სანახაობაა ერთი და იმავე მოვლენის, ერთი და იმავე პროცესის—საზოგადოებრივი ცხოვრებისა. საკითხავი ის არის, თუ ამ ორგვარ აღნიშნულ ორგანიზაციებ შორის არსებული კავშირი რა ხასიათისაა, რა კონკრეტიულ გამოხატულებას პოულობს ცხოვრებაში და როგორი უნდა იყოს მათი ურთიერთშორისი დამოკიდებულება, რომ მათი მოქმედება უფრო მეტის მიზან-შეწონილობით მიმდინარეობდეს.

პროფესიონალური ორგანიზაციები, როგორც იცით, მიზნათ ისახავენ თავიანთ წევრების ყოველ დღიურ მდგომარეობის გაუმჯობესობას; საშუალებათაც ხმარობენ პროფესიონალ-ეკონომიურ ზომებს. მათი მოქმედება უმეტეს ნაწილათ არა სცილდება თვით პროფესიის ფარგლებს. პოლიტიკურ ორგანიზაციების მოქმედება კი უფრო ფართოა და შორამდის მიდის. იგი ეხება მთელ საზოგადოებრივ წრეებს და კლასებს. აქ მიზნათ დასახულია თვით საზოგადოებრივ ურთიერთობათა შეცვლა, თვით საზოგადოებრივ ძალთა ახალ განწყობილების მოხდენა; ამიტომაც მათი მოქმედება გადადის პირდაპირ სახელმწიფო დაწესებულებებში; იგინი ესწრაფიან, რაც შეიძლება, მეტი ზეგავლენა მოიპოვონ ქვეყნის მთელ მართვა-გამგეობაზე და ბოლოს ხელთ იგდონ სახელმწიფოს მთელი მექანიზმი საკუთარ კლასის ინტერესთა სასამსახუროთ. როგორცა ჰხედავთ, განსხვავება ფრიად თვალსაჩინოა. არიან ისეთი პროფესიონალურ ორგანიზაციები, რომელთაც არასოდეს არ სჭირდებათ პოლიტიკურ სფერაში ფეხის გადადგმა; მათ თამამათ შეუძლიანთ თავიანთ ინტერესების დაკმაყოფილება სრულიად პოლიტიკის გარეშე, წმინდა პროფესიონალური ზომებით. ასეთია მაგ. ინტელიგენტური პროფესიები: ექიმების, ვექილების, ინჟინერების ღ სხვათა ორგანიზაციები. თუმცა გამონაკლისი აქაც მოიპოვება. ასე მაგ., გეხსომებათ, რომ განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს ინტელიგენტების წმინდა პროფესიონალურ ორგანიზაციებს თავიანთ სიეზდებზე, სხვათაშორის, წმინდა პოლიტიკური რეზოლიუციებიც გამოჰქონდათ. ამას იმითი ჰხსნიდენ, რომ ინტელიგენტები, როგორც უფრო განვითარებული და მგრძნობიარე ადამიანები, იზიარებდენ ხალხის ჭირ-ვარამს და, გამსჭვალულნი კეთილშობილური გრძნობებით, გატაცებულნი მაღალი იდეალებით საერთო, საქვეყნო ფერხულში ებმებოდენო. ჩვენ ამას არ უარვყოფთ, მაგრამ სათქმელი ისიც არის, რომ აქ მუშაობდა აგრეთვე ეგოისტური და პროფესიონალური ინტერესებიც. ძველი რეჟიმის დროს, როცა გამეფებულია გონებრივი წყვდიადი, უკიდურესი სიღარიბე, საერთო დავრდომილობა და შიმშილობა, მართალია ექიმებსა და მღვდლებს კიდევა აქვთ სამუშაო, მაგრამ საერთოთ ინტელიგენტურ პროფესიების მდგომარეობა კი მეტათ გაჯახირებულია. ის გარემოება, რომ ბიუროკრატიული რეჟიმი დიდძალ ჩინოვნიკების შტატს ითხოვს, კიდევ ვერ გაამთელებდა იარას, რადგან იქ, სხვა რომ არა ვთქვათ, ადგილების მიღება და დაწინაურება დამოკიდებულია საკმაოთ ძვირ პროტექციასა, ინტრიგობას, ნათლიმამობასა და მექრთამეობაზე; და ყველა ეს კი ინტელიგენციის დიდ უმრავლესობისათვის ხელმიუწვდომელია. სულ სხვაა კონსტიტუციის დამყარების დროს, უფლებრივ წეს-წყობილების ხანაში. აქ არა მარტო ადგილების მიღება და დაწინაურებაა დამოკიდებული პირად ცოდნა-განათლებასა და უნარზე, არამედ, რაც უფრო დიდ მნიშვნელოვანია, აქ შეუდარებლივ მეტათ გაფართოებულია ინტელიგენტურ შრომის ბაზარი, რომლის მდგომარეობაზეც, მოგეხსენებათ, დამოკიდებულია თვით ინტელიგენტურ პროფესიების მდგომარეობა, ავ-კარგიანობა და ყოველ-დღიური ცხოვრება. კონსტიტუციონურ სახელმწიფოს მარტო თვით მექანიზმი და მის მფარველობის ქვეშ გაჩენილი მრავალი საზოგადოებრივი დაწესებულებანი დიდ ინტელიგენტურ შრომას ითხოვენ.

ამას დასძინეთ, რომ კონსტიტუციონური პირობები ხელს უწყობენ ვაჭრობა-მრეწველობის აყვავებას, საწარმოვო ძალთა განვითარებას; ამას დასძინეთ, ამ პირობებში გაჩენილი, სახალხო სწავლა-განათლების გავრცელებისა, პრესის, ლიტერატურის და მეცნიერება-ხელოვნებათა განვითარების მუდამ მეტი და მეტი საჭიროება. აშკარაა, რომ კონსტიტუცია ინტელიგენტურ პროფესიების ხალხს ერთობ დიდ სამკალს უმზადებს, ფართო ასპარეზს აძლევს ძალ-ღონის გადასაშლელათ და „ამა სოფლის სიამეთა“ მოსაპოვებლათ. აი სწორეთ აქ არის დაფარული ძირითადი მიზეზი, რისთვისაც ინტელიგენცია უნდა ამხედრებულიყო „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა“ დასაპყრობათ, და აკი რუსეთში ინტელიგენცია დიდი ხნიდანვე წარმოადგენდა მეამბოხე ელემენტს, ხოლო როცა დაჰბერა განახლების სიომ, იგი დას-დასობით გადადიოდა რადიკალურ პარტიებში და პირველ რაზმებში უდგებოდა განმათავისუფლებელ მოძრაობას.

ინტელიგენტური ანუ აგრე წოდებული თავისუფალი პროფესიები აერთებენ, ასე ვთქვათ, საკლასთაშორისო საზოგადოებრივ წრეებს. ამიტომაც აქ პროფესიონალურ და პოლიტიკურ ორგანიზაციათა შორის

არსებული კავშირი ჩვეულებრივათ სრულიად დაფარულია, ფორმალურათ კავშირი მუდამ გაწყვეტილია.

საკმაოდ განსხვავებულ ვითარებას წარმოგვიდგენენ ორგანიზაციები, რომელნიც აერთებენ ისეთ კლასების წარმომადგენელთ, როგორნიც არიან კაპიტალისტები და პროლეტარიატი.

კაპიტალისტების ეკონომიური ორგანიზაციები თითქმის ყოველ ნაბიჯზე აწყდებიან პოლიტიკურ საკითხებს; პოლიტიკურ ვითარების სულ მცირეოდენი ცვლილება როგორც სახელმწიფოს შიგნით, ისე სახელმწიფოთა შორის, უმალვე ახდენს მათზე შესაფერ გავლენას, ხშირად საკმაოა პოლიტიკურ ხასიათის დეპეშა, რომ მათი ეკონომიური ინტერესები ძალუმათ შეტორტმანდეს, იმათ მოგებამ ან აიწიოს ან დაიწიოს; ხოლო უფრო თვალსაჩინო პოლიტიკურ ცვლილებას კი, რასაკვირველია, შეუძლიან მათი საქმეები ან სწრაფად მაღლა ასწიოს ან შეაფერხოს და ან სრული კრახით (გაკოტრებით) დააბოლოვოს. ამიტომაც, ხსენებული ეკონომიური ორგანიზაციები მუდამ მჭიდრო კავშირს იჭერენ მთავრობის წარმომადგენლებთან და სათანადო პოლიტიკურ პარტიებთან, თუმცა ეს კავშირის დაჭერა ხშირათ ხდება მალულათ, კულისებს იქით. ხოლო მთელი სახელმწიფო მექანიზმიც კაპიტალისტებისათვის მხოლოდ იარაღია თავიანთ ეკონომიურ ინტერესთა სასამსახუროთ.

რაღას გვიჩვენებენ მუშათა კლასის ეკონომიური და პოლიტიკური ორგანიზაცები? ამაზე შემდეგ წერილში. იქ ზედ მიწევნით გავეცნობით თუ როგორ შეეწონებიან ერთმანეთს პარტიული და პროფესიონალური ინტერესები.

ლ. კანდელი.

# ნ. ვ. გოგოლი

(დაბადებიდან ასი წლის თავის გამო).

—

20 მარტს შესრულდა 100 წელიწადი მას შემდეგ, რაც ნ. ვ. გოგოლი დაიბადა.

გოგოლი დაიბადა 1809 წ. მცირე რუსეთში, პოლტავის გუბერნიის დაბა სოროჩინცაში. მისი მამა იქაური მემამულე იყო. გოგოლი ნეჟინის გიმნაზიაში სწავლობდა, მაგრამ ბევრი არაფერი გამოუტანია იქიდან, გარდა იმისა, რომ გიმნაზიაში არსებულმა მოსწავლეების წრემ კარგი გავლენა იქონია მასზე და გაუღვიძა ლიტერატურისა და თეატრისადმი სიყვარული.

1828 წ. მან დაასრულა გიმნაზია და პეტერბურგის დეპარტამენტში იწყო სამსახური, მაგრამ მალე დაანება თავი. 1831 წ. გამოსცა თავისი პირველი მოთხრობები „Вечера на хуторѣ близъ Диканьки“, სადაც ცოცხალი ჰიუმორით არის დახატული მალოროსთა ცხოვრება. ახალგაზდა მწერალის ნიჭმა მალე მიიქცია საზოგადოების ყურადღება, რის შემდეგ გოგოლი ადვილათ დაუახლოვდა ცნობილ ლიტერატორებს: პუშკინს, ჟუკოვსკის და სხვა. 1835 წ. გოგოლმა გამოსცა ახალი კრებული თავის მოთხრობებისა. და აი, ამ მოთხრობებში გამოირკვა მისი ნიჭის ხასიათი, მისი ორი ძირითადი თვისება—ჰიუმორი და რეალიზმი. მისი მოთხრობების გმირები დაწვრილმანებული, ცხოველის მდგომარეობამდე ჩამოსული ადამიანებია, რომელთა იდეალი მხოლოდ სმა-ჭამა და დროს გატარება—მეზობლებთან დავა-ქორიკანობაა. გათახსირებული კაცის პიროვნებას გოგოლი ჰიუმორისტულათ აგვიწერს, მაგრამ მის სიცილში ცრემლებია დაფარული.

1834—35 წწ. გოგოლმა დასწერა მისი უკვდავი კომედია „რევიზორი“ ჩინოვნიკების ცხოვრებიდან, რომელშიაც ისე სამაგალითოთ დახატა თანამედროვე საზოგადოებრივი წყობილების გარყვნილება, რომ აუარებელი მტრები გაიჩინა. ამ გარემოებამ დიდათ იმოქმედა მასზე და ის დაიქანცა როგორც სულიერათ, ისე ხორციელათ და დასასვენებლათ საზღვარგარეთ გაემგზავრა. მოიარა მთელი ევროპა. და ბოლოს, იტალიის ბუნების სიმშვენიერით მოხიბლული, რომში დასახლდა, სადაც დაათავა თავის რომანის „Мертвыя души“-ს პირველი ტომი, რომელიც 1842 წ. გამოიცა. ამ დღიდან წყდება გოგოლის მოღვაწეობა, როგორც მწერალი ბელეტრისტისა. „მკვდარი სულების“ გაგრძელება მან ვეღარ შესძლო, რადგან მისი სულიერი მდგომარეობა ძირიანათ შეიცვალა. სარწმუნოებრივი გრძნობა, რომელიც მას ბავშობიდანვე ჰქონდა დედისაგან ჩანერგილი, „მკვდარი სულების“ პირველი ტომის გამოცემის შემდეგ მისტიციზმათ შეეცვალა. მასში განვითარდა და თანდათან ფეხი მოიკიდა იმ ცრუ რწმენამ, რომ ცხოვრების ცუდი მხარეების აწერით ის ვითომ რყვნიდა მკითხველ-საზოგადოებას და, მაშასადამე, ყველაფერი მისგან დაწერილი, ცოდვა იყო ღვთის წინაშე. სცადა ცხოვრების იდეალური მხარეების აწერა, მაგრამ ნაძალადევი გამოუვიდა და დასწვა. ცოდვების მოსანანიებლათ იერუსალიმს წასვლა განიზრახა, მაგრამ წასვლის უმალ გამოსცა წიგნი „წერილები მეგობართან“, სადაც თავის ნაწერებს უარყოფს და იწვევს საზოგადოებას შეურიგდეს ბატონ-ყმობას, ყოველივე უსამართლობას და სავსებით სარწმუნოებას მიეცეს. ამ წიგნმა გულის სიღრმემდე აღაშფოთა ყველა მისი მეგობრები, მათ შორის ბელინსკი, და მხურვალე პროტესტები გაუგზავნეს მას, მაგრამ მისი გამობრუნება შეუძლებელი შეიქნა: მისტიციზმმა სულ ერთიანათ მოიცვა მისი არსება.

ტრაღიკული და სამწუხარო იყო მისი სიცოცხლის ბოლო დღეები. ის გარდაიცვალა მოსკოვში 1852 წ.

ვინ იყო გოგოლი? რა ადგილა უჭირავს მას რუსეთის ლიტერატურაში?

გოგოლი არის ეგრეთ წოდებული ნატურალური სკოლის დამაარსებელი რუსულ ლიტერატურაში. თავის სამაგალითო ნაწარმოებებში მან სინამდვილით და სავსებით დახატა თანამედროვე რუსეთის ცხოვრების უკუ-

ღმართობა, საზოგადოების გონებრივი გახრწნილება, რითაც დაუფასებელი ღვაწლი დასდო თავის სამშობლოს თვითცნობიერების გაღვიძების საქმეს.

გოგოლი საკვირველ მოვლენას წარმოადგენს, როგორც მწერალი. მას არავითარი თეორეტიული მომზადება-განვითარება არ ჰქონია, რაც არა ერთხელ დაამტკიცა თავის კერძო ცხოვრებაში, და მხოლოდ ბუნებრივი ნიჭის წყალობით დასწერა ისეთი თხზულებები, რომლებმაც ეპოქა შეჰქმნეს რუსულ ლიტერატურაში. თავის ნაწარმოებში გოგოლი ყოველთვის ორგინალური იყო; ის არავის ზეგავლენის ქვეშ არ ყოფილა და თავიდანვე საკუთარი რეალური მიმართულება შეჰქმნა რუსულ ლიტერატურაში.

R.

# სახელმწიფო დუმაში

სოიცარ „შრომის უნარისა მქონე სახ. დუმა წარსულ კვირასაც ჩვეულებრივის მუყაითობით განაგრძობდა მთავრობის მოთხოვნების და კანონ-პროექტის მტკიცება-დადასტურებას.

დიდათ საინტერესო კამთი გამოიწვია გადასახლების საქმის საკითხმა. ოპოზიცია ენერგიულათ ჰგმობდა მთავრობის საკოლონიზაციო პოლიტიკას, იგი ამას უვარგისათ და დამღუპველათა სთვლიდა როგორც იმ განაპირა ქვეყნებისათვის, საითკენაც მიერეკებიან გადასახლებულთ, ისე თვით ამ უკანასკნელთათვის და აგრეთვე მთელ სახელმწიფოსათვის. საკითხზე, სხვათა შორის, თითქმის საათზე მეტი ილაპარაკა კარლო ჩხეიძემ. შეეხო კერძოთ კავკასიას და მრავალი ციტატებით და ციფრებით ამტკიცებდა, რომ აქ აღარ მოიპოვება თავისუფალი ადგილები „პერესელენცებისათვის“. მთავრობა კავკასიაში კოლონიზაციის პოლიტიკას კი არა, სისხლის გამოშვების პოლიტიკას აწარმოებსო, დააბოლავა მან სიტყვა. დეპეშათა სააგენტომ ლაკონიურათ გადმოგვცა, რომ დეპ. ჩხეიძის „რეჩი“ ერთიანათ გააცამტვერა დეპ. ტიმოშკინმაო. ხოლო რა საბუთებით, რა ფაქტებით, ამაზე სააგენტოს კრინტი არ დაუძრავს. ს. დ. ფრაქციიდან ილაპარაკეს და ჩხეიძის შეხედულებავე დაიცვეს გაიდაროვმა და ვოილოშნიკოვმა. უკანასკნელმა განაცხადა, რომ სოციალ-დამოკრატიული ფრაქცია ხმას ვერ მისცემს გადასახლების გამგეობის სმეტას, რადგან „ფრაქციას არა სურს მონაწილეობა მიიღოს ავაზაკურ საქმეშიო“. ბოლოს დეპ. ტიმოშკინმა შეიტანა წინადადება, რომ დუმას გამოეთქვა სურვილი — ყველა განაპირა ქვეყნებში მდებარე სახელმწიფო მიწებთან ერთად გადასახლებისათვის თავისუფლათ გახსნილი იყოს კავკასია და თურქესტანიო. ეს წინადადება დუმის უმრავლესობისგან მიღებულ იქმნა; განსახილველი სმეტაც დამტკიცდა.

მეორე საკითხი, რამაც ფრიად საინტერესო დებატები გამოიწვია, იყო ვაჭრობა-მრეწველობის სამინისროს სმეტის განხილვა. ოპოზიცია აღნიშნავდა რუსეთის ეკონომიურ და ფინანსიურ უმწეობას, მიუთითებდა, რომ ასეთ მდგომარეობის თავიდან ასაცილებლათ საჭიროა ბეჯითად ვითარდებოდეს ქვეყნის საწარმოვო ძალები და ეს კი აუცილებლათ მოითხოვს მთავრობის საფინანსო და ეკონომიურ პოლიტიკის ძირითად შეცვლას და მთელ სახელმწიფოს წყობილების გარდაქმნასო. კერძოთ, ს. დ. ფრაქციიდან გეგეჭკორმა, სხვათა შორის, განაცხადა: „რუსეთის ფინანსიურ და ეკონომიურ „ტუპიკიდან“ გამოსაყვანათ საჭიროაო: მუშებს მიეცეთ პოლიტიკურ და პროფესიონალურ ორგანიზაციების უფლებანი, რვა საათის სამუშაო დღე, შემოღებულ იქმნას საკანონმდებლო მფარველობა შრომისთვის საზოგადოთ და ქალების და ბავშვების შრომისათვის კერძოთ; ამასთანავე განვითარდეს საფაბრიკო ინსპექცია და დაკმაყოფილდეს სხვა სამართლიანი მოთხოვნები მუშების, მაგრამ ვიდრე სახელმწიფო უფლება ხელთ უპყრია დღევანდელ მთავრობას, ყველა ამ ზომათა განხორციელებაზე ფიქრი ჩვენ ნაადრევათ მიგვაჩნია, ამიტომაც ხალხის ამ კეთილის მყოფელთ რუსეთს თავი უნდა დაანებონ ან ბოლოს მათ თვით რუსეთმა უნდა დაანებოს თავიო“. (პეტ. დეპ. საგ.) სიტყვა წარმოსთქვა თვით ვაჭრობმრეწველობის ახალმა მინისტრმა ტიმირიაზევმა. მან წარმოსთქვა სიტყვა მეტათ გრძელი, მეტათ ლამაზი და მეტათ ლიბერალური. სხვათა შორის, განაცხადა, რომ მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესობა მთავრობის ერთი უპირველესი საზრუნავი საგანია. ამაზე ს. დ. ფრაქციიდან პოკროვსკიმ მიუგო: „პროლეტარიატის წარმომადგენელნი დუმაში ვერ ითამაშებენ კრილოვის ყვავის როლს და მთავრობის წარმომადგენელსა და ცენტრის თბილ-თბილ სიტყვებზე პროლეტარიატის სახელით ვუპასუხებთო: „ღმერთო, დაგვიხსენ საშიშ მეგობრებისაგან და მტრებს კი ჩვენ თვითონ გავუსწორდებითო“.

შავრაზმელების სავარძლებიდან ბევრი ილაპარაკეს იმის შესახებ, რომ ვაჭრობა-მრეწველობა და სწავლა-განათლება უნდა რადიკალურათ განწმენდილ იქმნას რუსეთის დამღუპველ ინოროდცების და ებრაელებისგანო. ამის შესაფერი წინადადებაც შეიტანა „ვალიაი“ მარკოვმა, მაგრამ ეს წინადადება თვით მესამე დუმისათვის შეუფერებელი აღმოჩნდა და უარყოფილ იქმნა, რის პასუხათ პურიშკევიჩმა თავის ადგილიდან დაიყვირა: „ართმზადები“!...

# ამონაკვნესი

დღეს მარტო ვარ — სახო-მიხედ...
უტოლ-მეგობრად ვზივარ მწუხარე
და ხელს მიხუთავს აუტანელი
შხამ-გესლიანი ცხოვრება მწარე;—

ოდეს ჩემს საკანს მზისა სხივები
ვერ ანათებენ, ვერა წვდებიან,
ჯალათის ხელით კვლავ ათასობით
ხალხის გმირები იღუპებიან;—
ოდეს ია-ვარდს არ ახალისებს
ნაზი ბულბულის სტვენა-წკრიალი
და ბედ-უკუღმართს ჭკორტნის უწყალოდ
გაუმაძღარი ყვავი—ტიალი;—
ოდეს ცის ტატნობს შავი ღრუბელი
გადასდებია—სამგლოვიაროდ,
ჭაერი რისხვით შეზავებულა,
ღამობს წალეკოს ჩაგრულთ სამყარო,—
როს ყურთა სმენას არ მიტკბობს კვალად
„ოცნების“ სიმთა ჟღერა საამო...
მითხარი, მაშინ, ჩემო იმედო,
დამწვარი გული ვით დავიამო!...

ლ. დარჩია.

## MATERIALISMUS MILITANS*)

### პასუხათ ბ-ნ ბოგდანოვს.

### I.

(გაგრძელება*)

მაგრამ თუ მე ჩემ თავს ვალდებულათ არა ვთვლი ვეომებოდე ჩვენს რუსეთის კლეოპატრას მრავალ-რიცხოვან მოტრფიალეთ, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, ვითომ მე უფლება არა მქონდეს მათზე ჩემი აზრი გაკვრით გამოვთქვა ხოლმე. ასეთი აზრის გამოთქმის უფლებაც ადამიანის და მოქალაქის ერთი მიუცილებელ უფლებათაგანია. აი მაგ. მე არასოდეს არ მიწერია და, მგონია, არასოდესაც არ დავწერ კრიტიკას ქრისტიანულ დოგმატიურ ღვთისმეტყველებაზე; მაგრამ ეს გარემოება სრულიათაც არ მართმევს უფლებას შემთხვევის დროს გამოვთქვა ხოლმე ჩემი აზრი ამა თუ იმ ქრისტიანულ დოგმატზე. რას იფიქრებდით, ბ-ნო ბოგდანოვო, იმ მართმადიდებელ ღვთისმეტყველზე, რომელიც იმ საბუთით, რომ გამომიქთვამს მე გაკვრით ეს შენიშვნები ქრისტიანულ დოგმებზე—და ასეთი შენიშვნები კი ალბათ მოიპოვება ჩემს თხზულებებში — ბრალს დამდებდა ვითომ მე ქრისტიანობას „ნისიათ“ ვაკრიტიკებდე. იმედი მაქვს, თქვენ იმდენ გონიერებას გამოიჩენდით, რომ ასეთ ბრალდების გაგონებაზე მხრები აგეწივათ. მაშ ნუ გაგიკვირდებათ, მ. ხ., თუ მეც არა ნაკლები გონიერების პატრონი ვარ, ე. ი. მხრებს ვიწევ, როცა მესმის, რომ თქვენ ჩემს წინააღმდეგ საბრალმდებლო მასალათ იხდით ჩემ მიერ მახიზმზე გაკვრით გამოთქმულ იმ შენიშვნებს, რასაც თქვენ უწოდებთ კრიტიკას „ნისიათ“.

ზემოთ ყოველ შემთხვევისათვის მოვიყვანე თქვენი აზრი ენგელსის ფილოსოფიურ თვალთახედვის ისარზე; ეს თქვენი აზრი თვით მიუხვედრელ ადამიანისათვისაც კი სრულიად აშკარათა ჰხდის, თუ როგორ უყურებთ თქვენ მარქსიზმის ფილოსოფიას. მაგრამ ეხლა მაგონდება, რომ ამას წინათ, როდესაც ერთ რუსულ კრებაზე ჟენავაში ერთ ჩემს სიტყვაში ამაზე მიგითითეთ, თქვენ ადექით თქვენი ადგილიდან და ინებეთ ჩემთვის წამოგეძახნათ: „მაგრე ვფიქრობდი წინათ, ეხლა კი ვხედავ, რომ ვცდებოდი“-ო. ეს მეტის-მეტათ მნიშვნელოვანი განცხადებაა, და მეც და ჩემთან ერთად ყოველი მკითხველი, ვისაც კი ჩვენი ფილოსოფიური კამათი ეინტერესება, ვალდებულნი ვართ, ეს განცხადება მივიღოთ საგულისხმოთ და სახელმძღვანელოთ.. თუ კი მას იმდენათ ლოლიკური აზრი აქვს, რომ იმით ხელმძღვანელობა შეიძლებოდეს. წინათ თქვენ ინებეთ გეფიქრნათ, რომ ენგელსის ფილოსოფიურ თვალთახედვის ისარი ოქროს შუაგულის თვალთახედვის ისარია, და თქვენ იგი უარჰყავით, როგორც უვარგისი. ეხლა თქვენ აღარ ნებულობთ ამგვარ ფიქრს. რას ნიშნავს ესა? იმას ხომ არა, რომ ენგელსის თვალთახედვის ისარს თქვენ ეხლა სავარგისად აღიარებთ? მე ძალიან მოხარული ვიქნებოდი ეს გამეგონა თქვენგან, — მოხარული ვიქნებოდი მარტო იმიტომაც, რომ ამ შემთხვევაში თავიდან ამცილდებოდა თქვენთან ფილოსოფიურ კამათის „სკუკა“. მაგრამ დღევანდლამდის მოკლებული ვარ ამ სიამოვნებას: არსად არ განგიცხადებიათ, რომ თქვენ სავლე პავლეთ იქეცით, ე. ი. რომ თქვენ მიატოვეთ მახიზმი და გადიქეცით დიალექტიურ მატერიალისტათ. სრულიად წინააღმდეგ. თქვენის „ემპირიომონიზმის“ მესამე წიგნში გამოსთქვავთ სრულიად ისეთსავე აზრებს, როგორც გამოთქმული გაქვთ თქვენის თხზულების მეორე წიგნში, სწორეთ იმ წიგნში, საიდანაც ჩემ მიერ ამოღებულია ციტატა იმის დასამტკიცებლათ, რომ თქვენ სრულებით არ ეთანხმებით ენგელსს. ეხლა რაღა შეიცვალა, ბ. ბოგდანოვო?

მე გეტყვით — რაც. როდესაც იბეჭდებოდა თქვენი „ემპირიომონიზმის“ მეორე წიგნი, — ეს მეფე გოროხის დროს როდი ყოფილა; ეს იყო მხოლოდ 1905 წ., — თქვენ კიდევ შეგწევდათ იმდენი ვაჟკაცობა, რომ გაგეკრიტიკებინათ ენგელსი და მარქსი, რომელთაგანაც თქვენ ისევე დაშორებული იყავით და ხართ, რამდენათაც კი შეიძლება იდეალისტი დაშორებული იყოს მატერიალისტისაგან. ეს ვაჟკაცობა თქვენ, რასაკვირველია, პატივსა გდებდათ. თუ ჩათლახი არის ის მოაზროვნე, რომელსაც ეშინიან ჭეშმარიტებას თვალებში შეხედოს, კიდევ უფრო ჩათლახია ის, ვისაც მისთვის თვალებში ჩაუხედნია და ეშინიან ქვეყანას აუწყოს, რაც მას იქ დაუნახია. მაგრამ ყველაზედ გლახა კი ის არის, ვინც თავის ფილოსოფიურ რწმენას ჰმალავს ამა თუ იმ პრაქტიკულ სარგებლობის მოსაზრებით. ასეთი მოაზროვნე, ცხადია, ეკუთვნის მალჩალინების ჯიშს. კიდევ და კიდევ, ბ. ბოგდანოვო, ის გამბედაობა, რაიც გამოიჩინეთ სულ ცოტა ხნის წინეთ 1905 წ., პატივსა გდებთ თქვენ. სავალალოა მხოლოდ, რომ ეს გამბედაობა ასე მალე დაგეკარგათ.

თქვენ დაინახეთ, რომ თქვენ მიერ აგრე წოდებულ „ჩვენ ტაქტიკას“, — რომელიც, ნამდვილათ,

*) იხ. „იალქანი“ № 1.

მხოლოდ იმ აშკარა ფაქტს აღნიშნავდა, რომ თქვენ ეკუთვნით მარქსის „კრიტიკოსთა“ რიცხვს,—დაინახეთ, რომ ცოტა არ იყოს—როგორც თქვენ თვითონ ინებეთ გეთქვათ — გასავალი აქვს, ე. ი. რომ ორთოდოქსალური მარქსისტები თქვენ აღარ გთვლიან თავის ამხანაგათ. თქვენ ამის შეგეშინდათ და ჩემს წინააღმდეგ მოიგონეთ თქვენი „ტაქტიკა“. თქვენ გადასწყვიტეთ, რომ თქვენთვის უფრო სახერხო იქნებოდა ჩემთან ბრძოლა, თუ თქვენ თავს გამოაცხადებდით მეცნიერულ სოციალიზმის დამფუძნებელთა მომხრეთ და მე კი თითქმის მათ კრიტიკოსათ გამომიყვანდით. სხვანაირათ რომ ვთქვათ, თქვენ გადასწყვიტეთ ჩემს წინააღმდეგ გეხმარათ ის „ტაქტიკა“, რომელიც აღინიშნების ამ სიტყვებით: „валитъ съ больной головы на здоровую“ („ჩემი შენ გითხარ, გული მოგიკალო“). და, რა გადასწყვიტეთ ეს, ჩემს შემეცნების თეორიაზე დასწერეთ ის კრიტიკული განხილვა, რომელიც მოთავსებულია „ემპირიომონიზმის“ მესამე წიგნში და რომელშიაც მე —- წინააღმდეგ იმისა, რაც იყო მეორე წიგნში — მარქს-ენგელსის მიმდევარათ აღარ ვიხსენიები. თქვენ, ბ. ბოგდანოვო, ვაჟკაცობამ გიმტყუნათ, და მე თქვენ მებრალებით. მაგრამ სამართლიანათ უნდა მოვექცეთ ისეთ ადამიანებსაც კი, რომელთაც საკმაო ვაჟკაცობა ვერ გამოუჩენიათ. ამიტომ გეტყვით, რომ თქვენ, წინააღმდეგ თქვენი ჩვეულებისა, არა მცირედი სიმახვილე გამოიჩინეთ. აქ თქვენის სიმახვილით თითქმის კიდევაც აჯობეთ ბერ-მონაზონს გორანფლოს.

ფრანგებმა იციან ვინ არის ეს ბერ-მონაზონი. რუსები კი მას, ალბათ, ძალიან ნაკლებათ იცნობენ; ამიტომ საჭიროა მათ ორიოდე სიტყვით გავაცნო ეს ბერი.

ერთხელ, არ მახსოვს სწორედ რომელ მარხვის დღეს, ბერ გორანფლოს ძალიან მოუნდა ქათმის ჩიჩია. მაგრამ ეს ხომ ცოდვაა. როგორ მოიქცეს ისე, რომ ქათმის ჩიჩიაც იგემოს და ცოდვასაც ასცილდეს? გორანფლო ბერმა ძალიან კარგ ხერხს მიაგნო. მან დაიჭირა ცდუნების აღმძვრელი ქათამი და შეასრულა მასზე სამღვთო წესი ნათლობისა და შესაფერი სახელწოდებაც მისცა: დაარქვა ორაგული თუ რომელიღაც სხვა თევზის სახელი. მოგეხსენებათ, თევზი სამარხვო საჭმელია; თევზის ჭამა დასაძრახისი არ არის. და ასე ჩვენმა გორანფლო ბერმაც შესჭამა ქათამი იმ საბუთით, რომ ნათლობის დროს მას თევზი ეწოდა სახელად.

თქვენ, ბ. ბოგდანოვო, სწორედ ამ ბერივით მოიქეცით. თქვენ „ემპირიომონიზმის“ იდეალისტურ ფილოსოფიით იტკბანურებდით პირს და ეხლაც განაგრძობთ ამას. მაგრამ ჩემმა „ტაქტიკამ“ თქვენ გაგრძნობინათ, რომ ორთოდოქსალურ მარქსისტების თვალში ეს ფილორეტიული ცოდვა არის. და აი თქვენ, დიდ ხანს აღარ გიფიქრნიათ, ადექით და თქვენს „ემპირიომონიზმზე“ შეასრულეთ წესი წმიდა ნათლობისა და სახელათ უწოდეთ მას მარქს-ენგელსის ფილოსოფიური მოძღვრება. ამ სულიერ საჭმლით საზრდოობას კი, რასაკვირველია, არავითარი ორთოდოქსალური მარქსისტები არასოდეს არა კრძალავენ. ამ რიგათ თქვენ ორ კურდღელს იჭერთ: კვლავ „ემპირიომნიზმსაც შეექცევით და იმავე დროს თქვენ თავს აკუთნებთ ორთოდოქსალურ მარქსისტების ოჯახს. და არამც თუ თქვენ თავს ამ ოჯახს აკუთვნებთ, თქვენ ჯავრობთ კიდეც (ანუ თავს გვაჩვენებთ ვითომ ჯავრობთ) იმათზე, ვინც თქვენ „ღვიძლნათესავათ“ არა გცნობენ. სწორედ გორანფლო ბერივით! მხოლოდ, გორანფლო · ბერი პატარა რამეში ეშმაკობდა, თქვენ კი დიდ რამეში ეშმაკობთ. აი ამიტომაც ვამბობ, რომ თქვენ თქვენი ეშმაკობით სახელოვან ბერს გადააჭარბეთ.

მაგრამ ვაი რომ ფაქტების წინააღმდეგ ბრძოლაში უღონო არის თვით უალმასესი სიმახვილე. გორანფლოს შეეძლო ქათმისათვის თევზი ეწოდებინა, ამით ქათამი თევზათ ვერ იქცეოდა. სწორედ აგრეთვე თქვენც, ბ. ბოგდანოვო, შეგიძლიათ თქვენს იდეალიზმს მარქსიზმი უწოდოთ, მაგრამ ამით თქვენ მატერიალისტ-დიალექტიკათ ვერ გახდებით. და რამდენადაც უფრო გულმოდგინეთ იხმართ საქმეში თქვენს ახალ „ტაქტიკას“, იმდენათ უფრო ნათელი გახდება არა მარტო ის, რომ თქვენი ფილოსოფიური შეხედულებანი მოურიგებელია მარქს-ენგელსის დიალექტიურ მატერიალიზმთან, არამედ—რაც კიდევ უარესია—აგრეთვე ისიც, რომ თქვენ უნარი არ შეგწევთ გაიგოთ, თუ რაში მდგომარეობს ამ მატერიალიზმის უმთავრესი დამახასიათებელი თვისება.

თუმცა მიუდგომლობა გვავალებს ისიც შევნიშნოთ, რომ მატერიალიზმი თქვენთვის დახურულ წიგნათ დარჩა. სწორედ ამით აიხსნება ის ურიცხვი მარცხები, რომელიც თქვენ მოგივიდათ, როცა ჩემს შემეცნების თეორიას აკრიტიკებდით.

აი ერთი ამ მარცხთაგანი. თქვენ 1905 წ. მე ენგელსის მიმდევარს მიწოდებდით, ეხლა კი ჰოლბახის მოწაფეთ მაცხადებთ. რა საბუთით? მხოლოდ იმ საბუთით, რომ თქვენი ახალი „ტაქტიკა“ გაიძულებთ არ მცნოთ მარქსისტათ. სხვა საბუთი თქვენ არა გაქვთ და სწორედ იმიტომ რომ თქვენ არა გაქვთ სხვა საბუთი — მიწოდებთ ჰოლბახის მოწაფეს—გარდა თქვენი მოთმინებისა ისარგებლოთ გორანფლო ბერის „ტაქტიკური“ სიბრძნეთი, სწორედ ამიტომ ერთზე მეტ ამჟღავნებთ თქვენს სუსტ მხარეს, თქვენს სრულ უუნარობას მატერიალისტურ თეორიის საკითხებში. მართალია, თქვენ რომ იდნავ მაინც იცნობდეთ მატერიალიზმის ისტორიას, გაიგებდით, რომ მოუხერხებელია გამოიყვანოთ ჰოლბახიანათ (holbachien, როგორც რადგენსაც უწოდა ხოლმე რუსსო). რადგან თქვენ ჩემი შემეცნების თეორიის გამო მიმართ ჰოლბახიანს, უნდა არ დაგვავიწყოთ, რომ ამ თეორიას უფრო მეტი მსგავსება აქვს პრისტლეის [1]) მოძღვრებასთან, ვიდრე ჰოლბახის მოძღვრებასთან. სხვა მხრივ ის ფილოსოფიური მხოლომხედ-

[1]) იხ. მისი «Disquisitions relating to Matter and spirit» და მისი პოლემიკა [illegible].

ველობა, რასაც მე ვიცავ, უფრო დაშორებულია ჰოლბახის შეხედულებებთან, ვიდრე, მაგ., ჰელვეცის[2]) ან-ასე გასინჯეთ—ლამეტრის შეხედულებებიდან, როგორც ამას ადვილათ დარწმუნდება ყველა, ვინც კი ამ უკანასკნელის თხზულებებთან გაცნობილია. მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ თქვენ არ იცნობთ არც ლამეტრის თხზულებებს, არც ჰელვეცის, არც პრისტლეის და აღარც იმ ჰოლბახის თხზულებებს, ვისთანაც მე მოწაფეთ მგზავნით, რაკი მარქს-ენგელსის სკოლიდან გამომრიცხეთ,—ალბათ დიალექტიურ მატერიალიზმში ცუდი მეცადინეობისათვის. უბედურებაც ის არის, რომ თქვენ საზოგადოთ არ იცნობთ მატერიალიზმს არც ისტორიულათ და არც მის დღევანდელ ვითარებაში და ეს მარტო თქვენი უბედურება კი არ არის, ბ. ბოგდანოვო: ეს მატერიალიზმის ყველა მოწინააღმდეგეთა დიდი ხნის უბედურებაა. უკვე დიდი ხნიდან ისე შემოვიდა ჩვეულებად, რომ მატერიალიზმის წინააღმდეგ გალაშქრების უფლებას იჩემებდენ ისეთი ადამიანებიც კი, რომელთაც მისი სრულიად არაფერი არ გაეგებოდათ. თავისთავად ცხადია, რომ ეს საქებური ჩვეულება მხოლოდ იმიტომ შეიძლებოდა დამყარებულიყო ასე მკვიდრათ, რომ იგი სავსებით შეესაბამება გაბატონებულ კლასთა ერთხელვე შემუშავებულ რწმენას. მაგრამ ამაზე ქვემოთ.

თქვენ მე სასწავლებლათა მგზავნით „Systeme de la nature“-ის ავტორთან იმ საბუთით, რომ მე, როგორც თქვენ ამბობთ, მატერიალიზმზე ვწერ მარქსის სახელით და ჰოლბახის ციტატების შემწეობით*) მაგრამ, ჯერ ერთი, რომ მე ჩემს ფილოსოფიურ სტატიებში მარტო ჰოლბახიდან არ მომყავდა ციტატები. მეორეც,—და ეს უმთავრესია,—თქვენი სრულიად ვერ გაიგეთ რისთვის მიხდებოდა ჰოლბახისა და მე-XVIII-ე საუკუნის სხვა წარმომადგენელთა ხშირათ დამოწმება. მე ასე ვიქცეოდი იმ მიზნით კი არა, რომ მარქსის შეხედულებანი გადმომეცა—როგორც ამას თქვენ ბრძანებთ,—არამედ იმ მიზნით, რომ დამეცვა მატერიალიზმი უაზრო საყვედურებისაგან, რაც მის წინააღმდეგ მოჰყავდათ მოწინააღმდეგეებს საზოგადოთ და ნეოკანტიანელებს—კერძოთ.

აი, მაგალითად, როდესაც ლანგე თავის ვითომ-და სახელოვან, ნამდვილათ-კი მეტათ მსუბუქ ნაწარმოებში—„ისტორია, მატერიალიზმისა“—ამბობს: „მატერიალიზმი გრძნობათა საცნაურ მსოფლიოს გაჯიუტებით სთვლის ნამდვილ საგანთა მსოფლიოთ“, მე ჩემი თავი ვალდებულათ მიმაჩნია გამოვააშკარავო, რომ ლანგე ამახინჯებს ისტორიულ ჭეშმარიტებას. და რადგანაც ის ამასა სჩადის თავის თხზულების სწორედ იმ თავში, სადაც ლაპარაკია ჰოლბახზე, მეც, რომ დავიჭირო იგი, იძულებული ვარ მოვიყვანო ციტატა ჰოლბახიდან, ე. ი. იმ მწერლიდან, რომლის შეხედულებებსაც ამახინჯებს ლანგე. დაახლოვებით ამგვარსავე საბაბზე მიხდებოდა ციტატა მომეყვანა „Systeme de la nature“-ის ავტორიდან, როცა მე ვეკამათებოდი ბ. ბ. ბერშტეინსა და კ. შმიდტს. ეს ბატონებიც დიდ სიცრუეებს ლაპარაკობდენ მატერიალიზმზე და მე იძულებული ვიყავი დამენახვებინა მათთვის, თუ რამდენათ უხეიროთ იცნობენ იმ საგანს, რომელზედაც სწერენ და ლაპარაკობენ. თუმცა მათთან კამათის დროს მე მომიხდა დამემოწმებინა არა მარტო ჰოლბახი, არამედ ლამეტრი, ჰელვეცი და განსაკუთრებით დიდრო. მართალია ყველა ეს მწერლები მეთვრამეტე საუკუნის მატერიალიზმის წარმომადგენელები არიან და ვინც საქმესთან არ არის გაცნობილი, შეიძლება ჰკითხოს თავის თავს: პლეხანოვი რატომ იმოწმებს სწორედ მე-XVIII საუკუნის მატერიალისტებსო? ამაზე ჩემი პასუხი ძალიან მარტივია: იმიტომ, რომ მატერიალიზმის მოწინააღმდეგენი, მაგალითად, თუნდ ლანგე, მე-XVIII საუკუნეს სთვლიდენ ამ მოძღვრების უფრო მეტ აყვავების ხანათ. როგორცა ჰხედავთ, ბ. ბოგდანოვო, საქმე სულ უბრალოთ ირკვევა; მაგრამ, რაკი თქვენ ერთხელვე შეითვისეთ გორანფლო ბერის მეტათ ხერხიანი ტაქტიკა, თქვენ იმას კი არ ესწრაფით, რომ საქმე გაარკვიოთ, არამედ იმას, რომ იგი დააბნელოთ. მე, რასაკვირველია, მესმის, რომ საქმის გარკვევა არ შეადგენს თქვენს ინტერესს, მაგრამ იცით რა? განზრახ საქმის დაბნელებაში ძნელად აუხვევ გზას სოფიზმებს და სოფისტიკისათვის კი ცოტად თუ ბევრად საჭიროა ის, რასაც ჰეგელი აზრების ოსტატურ ხმარებას უწოდებდა. რაც შეგეხებათ თქვენ, თქვენ, ალბათ, განსვენებულ ტრედიაკოვთან ახლობელ სულიერ ნათესაობისა გამო ძალიან შორსა ბრძანდებით ამგვარ ოსტატობიდან. ამიტომ თქვენი სოფიზმები მეტის-მეტათ ტლანქი და მოუხეშავია. ეს თქვენთვის ერთობ უხერხულია. ამიტომ მე გირჩევთ, ყოველთვის, როცა კი ამგვარი სოფიზმები დაგჭირდებათ, ბ. ლუნაჩარსკი დაიხმარიეთ ხოლმე. იმას გაცილებით უფრო მოხერხებული და ლამაზი სოფიზმები მოსდის. ეს კი დიდათ ხელსაყრელია კრიტიკისათვის. სხვისი რა მოგახსენოთ და მე კი ბ. ლუნაჩარსკის მშვენიერ სოფისტიკას უფრო მეტის სიამოვნებით ვამზეურებ ხოლმე, ვიდრე თქვენს მოუხეშავ ქინთვას, ბ. ბოგდანოვო.

არ ვიცი, ისარგებლებთ თუ არა ჩემის კეთილის—თუმცა, როგორცა ხედავთ, არც სრულიად უანგაროს—რჩევით, მაგრამ ჯერჯერობით კი მე მიხდება საქმე ვიქონიო თქვენს მოუხეშავ სოფისტიკურ ქინთვასთან. და, აი, აღჭურვილი მოწყენილობის დამძლევ ძალღონით, განვაგრძობ მათს გამომზეურებას.

როდესაც ჰოლბახთან მგზავნიდით სასწავლებლათ, თქვენ ამით გინდოდათ თქვენის მკითხველების თვალში დაგემცირებინეთ. მახის „Анализъ Ощущенiи“-ს რუსულ გამოცემის წინასიტყვაობაში თქვენ ამბობთ, რომ წინა-

[2]) იხ. მისი ისტორიის მატერიალისტურად ახსნის შესანიშნავი ცდა, მოხსენებული ჩემ მე-2-ე „Beiträge Zur gechichte des Materialismus“.

*) Эмпиріомонисмъ, кн. 3-ая, предисловіе; стр. X—XI.

ალმდეგ იმის ფილოსოფიისა მე ჩემ ამხანაგებთან ერ-თად ვიცავ „მე-XVIII საუკუნის ბუნებისმეტყველების ფილოსოფიის იმავე ფორმულებში, როგორც ესა აქვს ბარონ ჰოლბახს, ამ ბურჟუაზიის წმინდა წყლის იდე-ოლოგს, რომელიც ძალიან დშორებულია აგრეთვე ზომიერ სოციალისტურ სიმპატიების მქონე მახისაგანაც“. მაგრამ აი, სწორედ აქ იშლება ჩვენს წინაშე თავის ულამაზო სიშიშვლით თქვენი დაუჯერებელი უვიცობა საგნისა და თქვენი არქიკომიკური სიხეპრევე „აზრების ხმარებაში“.

ბარონ ჰოლბახი მართლაც რომ ძალიან დშორე-ბულია მახის ზომიერ სოციალისტურ სიმპატიებიდან. ოლონდაც! ამ სიმპატიებისაგან მას აშორებს დაახლო-ვებით ას-ორმოც-და ათის წლის მანძილი. მაგრამ ჭეშ-



წრფელი ალსარება.

მარიტად კაცი ტრედიაკოვსკის ღირსეული შთამომავა-ლი უნდა იყოს, რომ ეს გარემოება დანაშაულად ჩაუ-თვალოს თვითონ „ჰოლბახს, ანუ რომელსამე„ იმის მე-XVIII საუკუნის დროინდელ თანამოაზრეს. ჰოლბახი დროის მხრივ საკუთარის სურვილით ხომ არ ჩამორ-ჩენია მახს. აგრე რომ ვიმსჯელოთ, მაშინ შეიძლება კლისთენს ბრალათ დავდოთ, რომ იგი „მეტათ დაშო-რებული“ იყო თვით ბ. ბერნშტეინის ოპორტიუნის-ტულ სოციალიზმზე. ყველა მწვანილს თავისი დრო აქვს, ბ. ბოგდანოვო! ხოლო კლასებათ დაყოფილ საზოგადოებაში ყოველ დროს ქვეყნად ალმოცენდების არა მცირედი რიცხვი ხხვა და სხვა ფილოსოფიურ მწვა-

ნილისა და ამათგან ადამიანები სხვა და სხვას ირჩევენ თავიანთ გემოვნების მიხედვით. ჯერ კიდევ ფიხტე სამართლიანათ ამბობდა, როგორიც ადამიანია, ისეთივეა იმისი ფილოსოფიაო. და ამიტომ მე უცნაურად მეჩვენება ბ. ბოგდანოვის უეჭველი და თითქმის გადაჭარბებული სიმპატია „მახის ზომიერ სოციალისტურ სიმპატიებისადმი“. მე აქამდის მეგონა, რომ ბოგდანოვს არამც თუ არ შეუძლიან თანაუგრძნობდეს რაიმე „ზომიერ-სოციალისტურ სიმპატიებს“, არამედ, ვითარცა უკიდურეს აზრების მქონი კაცი, მიდრეკილია დაჰგმოს ეს სიმპატიები, როგორც ჩვენი დროის უღირსი ოპორტიუნიზმი. ეხლა მე ვხედავ, რომ შევცდი და მცირეოდენი მოფიქრების შემდეგ მესმის კიდეც, სახელდობრ რატომ შევცდი. მე ერთი წუთით მხედველობიდან გამომეპარა, რომ ბ. ბოგდანოვი ეკუთვნის მარქსის „კრიტიკოსთა “რიცხვს. ტყულად კი არ ამბობენ: кого токъ увязъ, всей птичкѣ пропасть. ბ. ბოგდანოვმა დაიწყო დიალექტიურ მატერიალიზმის უარყოფით და გაათავა მახის „ზომიერ - სოციალისტურ სიმპატიებისადმი“ აშკარა და თითქმის გადაჭარბებულ სიმპატიებით, ეს სრულიად ბუნებრივია: Wer a sagt, muss auch b sagen (ვინც ანს იტყვის, იმან უნდა ბანიც სთქვას).

ჰოლბახი რომ ბარონი იყო, ეს უცილობელი ისტორიული ჭეშმარიტებაა, მაგრამ თქვენ, ბ. ბოგდანოვო, რისთვის მოაგონეთ მკითხველებს ჰოლბახის ბარონობის ღირსება? უნდა ვიფიქროთ, რომ თქვენ ეს ტიტულებისადმი სიყვარულით კი არ მოგივიდათ, არამედ გნებავდათ გეჩხვლიტათ ჩვენთვის, დიალექტიკურ მატერიალიზმის დამცველთათვის, ბარონის ყალბ მოწაფეთათვის. რა ვუყოთ; ეს თქვენი უფლებაა, მაგრამ როცა სცდილობთ ჩვენ გვიჩხვლიტოთ, ნუ გავიწყდებათ, უპატივცემულესო, რომ ერთ ხარს ორ ტყავს ვერ გააძრობ. აკი თქვენ თვითონ ამბობთ, რომ ბარონ ჰოლბახი ბურჟუაზიის წმინდა წყლის იდეოლოგი იყოო. მაშასადამე, ცხადია, რომ იმის ფილოსოფიის სოციოლოგიურ ეკვივალენტის განსამარტებლათ იმის ბარონობის ღირსებას არ შეიძლება რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს. მთელი საკითხი იმაშია, თუ ეს ფილოსოფია თავის დროს რა როლს თამაშობდა. და რომ იგი თავის დროს უდიდეს რევოლუციონურ როლს თამაშობდა, ეს შეგვეძლოთ გაგვეგოთ მრავალ, ყველასათვის ხელმისაწდომ წყაროებიდან და სხვათაშორის ენგელსიდან, რომელიც, ახასიათებს რა მე-XVIII საუკუნის საფრანგეთის ფილოსოფიის რევოლუციას, ამბობს: „ფრანგები აშკარა ომს ეწევიან მთელ ოფიციალურ მეცნიერებასთან, ეკლესიასთან, ხშირად თვით სახელმწიფოსთან; მათი თხზულებანი იბეჭდებიან საზღვარს გადაღმა, ჰოლანდიასა ანუ ინგლისში, ხოლო თვითონ კი არა იშვიათად მიდიან დასასახლებლად ბასტილიაში.*) შეგვიძლიანთ დამერწმუნოთ, მოწყალეო ხელმწიფეო, როდესაც გეუბნებით, რომ იმდროინდელ სხვა მატერიალისტებთან ერთად ამ რევოლუციონერ მწერალთა რიცხვს ეკუთვნოდა აგრეთვე ჰოლბახიც. გარდა ამისა, უნდა შევნიშნოთ კიდევ აი რა.

ჰოლბახი და საზოგადოთ მაშინდელი ფრანგი მატერიალისტები იმდენათ ბურჟუაზიის იდეოლოგები არ იყვენ, რამდენათაც იდეოლოგები მესამე წოდებისა იმ ისტორიულ ეპოქაში, როცა ეს წოდება თავითფეხამდე გაჟღენთილი იყო რევოლუციონური სულით. მატერიალისტები შეადგენდენ მარცხენა ფრთას მესამე წოდების იდეოლოგიურ არმიისას. როდესაც ეს წოდება თავის მხრივ ნაწილებათ დაიყო, როდესაც მისგან გამოვიდა ბურჟუაზია ერთის მხრივ და პროლეტარიატი მეორეს მხრივ, მაშინ პროლეტარიატის იდეოლოგებმა იწყეს მის დებულებებზე დაყრდნობა სწორედ იმიტომ, რომ იგი იყო თავის დროის უკიდურესად რევოლუციონური ფილოსოფიური მოძღვრება. მატერიალიზმი საფუძვლათ დაედო სოციალიზმსა და კომუნიზმს. ამაზე მარქსი მიუთითებდა ჯერ კიდევ თავის წიგნში „Die heilige famile“. იგი სწერდა იქ:

„დიდი ჭკუა არ უნდა იმის გაგებას. რომ კომუნიზმსა და სოციალიზმთან მიუცილებელი კავშირი აქვს საფრანგეთის მატერიალიზმის მოძღვრებას, რომელიც ღაღადებდა სიკეთისადმი ბუნებრივ მიდრეკილებაზე, ყველა ადამიანების გონებრივ ნიჭიერებათა თანასწორობაზე, ცდისა, ზნე-ჩვეულებისა და აღზრდის ყოვლად შემძლებლობაზე, გარეშე პირობათა ადამიანზე ზედგავლენაზე, მრეწველობის მაღალ მნიშვნელობაზე, სიამოვნების ზნეობრივობაზე და სხვა“.*).

შემდეგ მარქსი შენიშნავს, რომ მატერიალიზმის სოციალისტური ტენდენციები ძალიან კარგათ სჩანსო „защита пораковъ-ში, რასაც შეუდგა მანდევილლი, ლოკკის ერთ ერთი პირველ მოწაფეთაგანი. მანდევილლი ამტკიცებს, რომ მანკიერებანი აუცილებელი და სასარგებლონი არიან ეხლანდელ საზოგადოებაში. ეს კიდევ სულაც არ ნიშნავს იმას, ვითომ იგი იცავდეს ეხლანდელ საზოგადოებას (იქვე გვ. 88).

მარქსი მართალი არის. მართლაც და დიდი ჭკუა არ უნდა იმის გაგებას, რომ მატერიალიზმსა და სოციალიზმს შორის აუცილებელი კავშირია. მაგრამ ცოტაოდენი ჭკუა მაინც საჭიროა ამისთვის. აი ამიტომაც ისინი, ვინც სრულიად მოკლებულნი არიან ჭკუას, მარქსისაგან ნაჩვენებ კავშირს ვერ ამჩნევენ და ფიქრობენ, რომ შესაძლებელია იცოდე და თითქმის ხელახალ საფუძვლებით „ასაბუთებდე“ სოციალიზმს და იმავე დროს კი ეწინაამდეგებოდე მატერიალიზმს. ის მომხრეები, რომელთაც არავითარი ჭკუა არ მოეპოვებათ, მზათ არიან დაინტერესდენ ყველა სხვა ფილოსოფით, გარდა მატერიალისტურისა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ როცა ისინი მატერიალიზმზე სჯა-ბაასს იწყებენ, ყოვლად მიუტევებელ სისულელეს როშავენ.

(შემდეგი იქნება).

გ.

*) Людвигъ Фейербахъ. С.-П.Б. 1906 г. стр. 30.

*) Приложеніе 1-е „Людвигу Фейербаху“ Энгельса, С.-П.Б. 1906 г. стр. 87.

# კარლ მარქსის ეკონომიური პრობლემები.

## I

ცნობილი მარქსისტი, რუდოლფ ჰილფერდინგი, ერთ თავის წერილში ამბობს, რომ პოლიტიკური ეკონომიის ისტორია მთავარი საშუალებაა ბურჟუაზიული საზოგადოების გაგება-გათვალწუნებისათვის, მის სისწორით შემეცნებისათვის. შემეცნება, როგორც ადამიანის ფსიხოლოგიური მოვლენა, მუდამ და ყოველთვის ადამიანის თუ საზოგადოების ნებას ექვემდებარება, ხალხის სურვილს ემორჩილება. თანამედროვე საზოგადოების სურვილ-მისწრაფების შინაარსს კი, როგორც ვიცით, მოგების გადიდება შეადგენს. სიმდიერე და სიმდიდრის მოხვეჭა ბურჟუაზიულ კლასების მთავარი მიზანია, ამის გარეშემო ტრიალებს მისი სურვილ-ინტერესები, ამაში გამოიხატება მათი კოლექტიური მოქმედება, ამას ელტვის მათი კლასობრივი პოლიტიკა. ბურჟუაზიული პოლიტიკოსების პირველ საკითხს, წინათ და ახლაც, ერის თუ საზოგადოების გამდიდრება შეადგენდა, ამთ კითხვის პრაქტიკულად განხორციელებას ანდომებდენ მთელ თავიანთ ძალ-ღონეს, ამის მოწესრიგებას ანდომებდენ მთელ თავიანთ დროს; პრაქტიკები უმალვე თეორეტიკდებოდენ ხოლმე, როგორც კი ისინი კითხვას ასე აყენებდენ: რა შეადგენს ხალხის სიმდიდრეს? დასმულ კითხვის პასუხის მიცემას უკვე მეთვრამეტე საუკუნის ფიზიოკრატ-მერკანტილისტები ცდილობდენ და მა კითხვის ყოველ-მხრივ გასარკვევად შექმნეს მერკანტილ-ფიზიოკრატიული რასტემები. თითქმის ესევე პრობლემა დაისახა ადამ სმიტმა, მხოლოდ კითხვა ამან უფრო ფართოდ დააყენა. იგი თავის სისტემაში სიმდიდრის განაწილების პროცესს შეეხო და მთელი ერის ნაწარმოებს საზოგადოების სხვა და სხვა კლასებზე ჰყოფდა.

პრობლემა ყველაზე უფრო სწორეთ დავიდ რიკარდომ დააყენა და შესაფერათაც გადასწყვიტა. უპირველეს ყოვლისა, მას უნდოდა გაეგო, თუ რა არის სიმდიდრე! ცდილობდა გამოეჩხრიკ-გამოერკვია ის კანონები, რომლებიც, საზოგადოთ, განსაზღვრიდენ ხალხის სიმდიდრის განაწილებას, ამაში გამოიხატება, რიკარდოს აზრით, პოლიტიკურ ეკონომიის მთავარი დანიშნულება. რიკარდოს კვლევითი მეთოდით სარგებლობდენ არა მარტო მისი ბურჟუაზიული მიმდევრები და მოწინაალმდეგენი, არამედ თვით სოციალისტებიც, რომლებიც განაწილების პრობლემას მთავარ პრობლემათ აღიარებდენ, ეკონომიურ მეცნიერებაში მას პირველ ალაგს უთმობდენ, უნდოდათ აუცილებელი კანონები გამოემუშავებინათ, რომელიც კაცობრიობას ყველაზე უმალ ბედნიერების კარებამდის მიიყვანდა, ასე რომ, ყველა ამ ჯურის მეცნიერები პოლიტიკურ ეკონომიიდან ეთიკის სამეფოში გადადიოდენ. ერთი სიტყვით, ვერც ადამ სმიტმა და ვერც დავიდ რიკარდომ ვერ შესძლეს წამოყენებულ კითხვის სისწორით გადაჭრა.

ეს შესძლო მხოლოდ კარლ მარქსმა, რომელმაც თავის უკვდავ მეთოდის საშუალებით კითხვა ყოველ მხრივ, საფუძვლიანათ გამოიკვლია. კარლ მარქსის ისტორიული, სოციოლოგიური და ფილოსოფიური მსოფლმხედველობა სულ სხვა გვარი იყო, ვიდრე სმიტ-რიკარდოსი. მისი ახალი მსოფლმხედველობა ეკონომიურ პირობების, ეკონომიური ურთიერთობის შესწავლაში გამოიხატებოდა, რომელმაც, ე. ი. კარლ მარქსის ეკონომიურმა სწავლამ, პრინციპიალური ხასიათ-დანიშნულება მიიღო. მისთვის პოლიტიკურ ეკონომიაში არ არსებობდა პრობლემა, თუ რა არის სიმდიდრე, რა შეადგენ სიმდიდრის არსებას; ეს პოლიტიკურ ეკონომიის საკითხი არ იყო, ამის გამორკვევა არ შეადგენდა მის ძირითად დანიშნულებას. მარქსის აზრით სიმდიდრე მხოლოდ ჯამია სახმარ ღირებულების, გროვაა სხვა და სხვა საგნების, რომლებიც ადამიანის ამა თუ იმ მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ. და ყველა ეს აღებული ერთად მხოლოდ ნაყოფია ადამიანის და ბუნების მოქმედების. მათი გაზევრება-გამრავლება ჩვეულებრივი შედეგია ადამიანის შრომის განაყოფიერებისა, რასაც აშკარად ღაღადებს საწარმოვო ტეხნიკის ისტორია. როგორც ვთქვით, კარლ მარქსისათვის სმიტ-რიკარდოსებური საკითხი არ არსებობდა, მარქსის მთავარი პრობლემა: რა არის სიმდიდრის ფორმა? ეს კითხვა სრულიადაც არ წამოუყენებიათ კლასიკურ ეკონომისტებს; რა არის სიმდიდრე, როგორ ქმნის მას ადამიანი და როგორ ნაწილდება იგი, ეს იყო ბურჟუაზიულ ეკონომისტების საძიებელი პრობლემა, ბურჟუაზიულ-პოლიტიკურ ეკონომიის საკვლევი საგანი. მაშ რაში გამოიხატებოდა მარქსის თეორიის უპირატესობა? მარქსიზმის პროგრესი მეცნიერების გზაზე? სახელდობრ იმაში, რომ, რაც სხვისთვის თავის-თავად საგულისხმო იყო, ეს მარქსისთვის მთავარ პრობლემას შეადგენდა. მისი ეკონომიური სისტემა, მისი კვლევითი მეთოდი ანალიზს უშვრებოდა იმ მოვლენას, თუ ადამიანის წარმოება, მისი წარმოების წესები, სხვა და სხვა ისტორიულ ეპოქაში, სხვა და სხვა ისტორიულ ცვალებად გარემოებაში, რაგვარ სახეს ღებულობდა, რა ფორმას ისხამდა მისი სიმდიდრე. ამ კითხვას მან სწორი და საბუთიანი პასუხი მისცა თავის უკვდავ ნაწარმოებ „კაპიტალში“. პირველ ტომის პირველ გვერდზევე იგი ხაზ გასმულათ სწერს, რომ იქ, სადაც კაპიტალისტური წარმოების წესი გაბატონებულია, საზოგადოების სიმდიდრეს ურიცხვი საქონელთა გროვა შეადგენს, თვითეული საქონელი მხოლოდ ელემენტარული ფორმაა მთელი ნაწარმოებისა. ამისათვის ჩვენს გამოკვლევას საქონლის ანალიზით ვიწყობთ („კაპიტალი“ 1, გ. ს.) ამ მოკლე წინადადებით კარლ მარქსმა თეორიულ პოლიტიკურ ეკონომიის პრობლებას პირველათ ყოველმხრივი და ძირითადი ფორმულიროვკა უყო — რასაკვირველია, ყველა ეს თხოულობდა დაწვრილებით განხილვას და მარქსმაც დადებით შეისწავლა საწარმოვო ტეხნიკის განვითარება და ამასთან მჭიდროთ შეკავშირებული ეკონომიური ურთიერთობანი, ე. ი.

წარმოების პროცესი, ამ უკანასკნელთან კი აუცილებლათ განუშორებელია საქონლის წარმოება, საქონლის დამუშავება. საქონლის წარმოება, მარქსის შეხედულობით, მთავარი დამახასიათებელი თვისებაა თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოების, სახელდობრ, საქონელი, ბურჟუაზიულ წყობილებაში, — პატრონის მოსახმარათ არ არის დამზადებული, მწარმოებელი თავის და თავის ოჯახის განსაკუთრებულ მოთხოვნილებისათვის არ ამუშავებს, მის ნაწარმოები საზოგადოების წევრისათვის არის დამზადებული, ნაწარმოებმა საზოგადოებრივი ხასიათი მიიღო. ახლა კი გამოირკვა საქონლის დანიშნულება, საქონლის ნამდვილი შინაარსი. საქონელი, მარქსიზმის შეხედულობით, მხოლოდ სიმბოლოა საზოგადოებრივ ურთიერთობისა, შუამავალი საზოგადოებრივ განწყობილებისა, რომელიც მხოლოდ განსაზღვრულ სოციალურ პირობებში იბადება და მაჩვენებელია საზოგადოების წევრთა-ადამიანთა შორის დამოკიდებულობის. ასე, როგორც ვხედავთ, მარქსისთვის საქონელი, ანუ სწორეთ რომ ვსთქვათ ნაწარმოები წარმოების ურთიერთობის გამომხატველია, ადამიანების, როგორც მწარმოებლების, ურთიერთობის დამოკიდებულებისა.

ადიმიანებს შეუძლიანთ საერთო წარმოების სფერაში შეგნებულათ ერთი მეორესთან დაკავშირება, როგორც ნაწილებს მწარმოებლივ საზოგადოებისას; მათი დამოკიდებულება წარმოებას და მათი დამოკიდებულება ერთიმეორესთან შეთანხმებულათ მოაწესრიგონ. მათი შრომის წესი და ნაწარმოების განაწილება ექვემდებარება საზოგადოებრივ ცენტრლურ კანტროლს. წარმოების ურთიერთობა პირდა-პირ საზოგადოებრივ ურთიერთობის გამომხატველია, თითეულთა შორის დამოკიდებულება, რამდენათაც ეს ეკონომიურ ცხოვრებას შეეხება, თვითეულის კერძო ნება-სურვილი საზოგადოებრივ დამოუკიდებელებას ემორჩილება. მაშასადამე, წარმოების ურთიერთობა რომ თავის ფართო მნიშვნელობით განვიხილოთ, იგი არის მხოლოდ საერთო სურვილის შეგნებულათ დაკანონება; იგი ჰქმნის ისეთ საზოგადოებრივ დამოკიდებულებას, რომელსაც ურიცხვი, ერთი მეორედან დამოკიდებული ინდივიდუალური აქციები (მოქმედებები) ემორჩილებიან. მაშ ეს რა მამოძრავებელი კანონია, რომელიც საზოგადოების სხვა და სხვა წევრებს ერთმანეთთან აკავშირებს? ძველათ, ნატურალურ წარმოების ხანაში, საზოგადოების მრავალი წევრები საერთო სურვილით საერთო საქმით იყო შეკავშირებული. მართალია დღეს სულ სხვას ვხედავთ, თითვეული კერძო პირი ერთიმეორიდან დამოუკიდებელია, თავისუფალია, ყოველი ამათგანი თავის სურვილისამებრ მოქმედობს, თავის საკუთარ მოქმედებაში თითონ არის პასუხის მგებელი. მაგრამ ეკონომიური აუცილებლობა, ეკონომიური გაჭირვება ერთმანეთს დაუკავშირდენ, წარმოებით ერთმანეთზე გადაებენ, მხოლოდ იმ მთავარ განსხვაებით, რომ საზოგადოების წევრები ახლა საერთო მიზანს ნაწარმოების გაცვლა-გამოცვლის საშუალებით აღწევენ. თითვეული ნაწარმოების პატრონი დაინტერესებულია მეორის ნაწარმოებით: ერთი ათასისთვის მუშაობს და ათასი ერთისათვის; ერთს ათასი სჭირია და ათასს ერთი; ასეთია თანამედროვე საზოგადოებრივი დამოკიდებულება, რომელიც დამოკიდებულია გაცვლა.გამოცვლის პროცესზე. თუმცა გაცვლა-გამოცვლის პროცესი, პირველ შეხედვით, კერძო მოვლენათ, კერძო ხასიათისა გვეჩვენება, მაგრამ ჩვენ თუ მოვლენას, როგორც მასიურ მოვლენას გინვიხილავთ, აუცილებლათ დავინახავთ მის საზოგადოებრივ აუცილებლობას, საზოგადოებრივ ხასიათს. მაშასადამე გაცვლა-გამოცვლა ერთი უძლიერესი საზოგადოებრივი ფენომენია (მოვლენა); გაცვლა-გამოცვლის აქტში საზოგადოებრივი ურთიერთობა თავის უმაღლეს გამოხატულობას პოულობს. ინდივიდუმები მხოლოდ ეკონომიურათ — ნივთიერის მხრივ უკავშირდებიან და არა, რასაკვირველია, პოლიტიკურათ, ლიტერატურულათ, ან და რელიგიურათ, მათ შორის მხოლოდ გაცვლა-გამოცვლის კავშირია. გაცვლა-გამოცვლის საერთო მოვლენა აშკარათ გვაჩვენებს, რომ იგი მოწესრიგებული, იგი კანონიერია, მაშასადამე ეს ამავ დროს კანონია საზოგადოებრივი მოძრაობისა. და აი ამ საზოგადოების მამოძრავებელ კანონის აღმოჩენა მთავარი მიზანი იყო კარლ მარქსისა, უპირველესი პრობლემა მის თეორიულ პოლიტიკურ ეკონომიისა; აქ მოხდა მისი თეორიის სწორი და ნამდვილი ფორმულიროვკა და მისი მეთოდის განსაზღვრა. მაგრამ ეს მეთოდი, რომლის საშუალებითაც კარლ მარქსს საზოგადოების მამოძრავებელ რომელი კანონი უნდა აღმოეჩინა, იყო ანალიზი საზოგადოებრივ ურთიერთოპის, რომელიც თავის მხრივ მარტივ საზოგადოებრივ აქტში, მატერიალურ სუბსტრატ — საქონლის გაცვლა-გამოცვლაში გამოიხატება.

საქონლის საზოგადოებრივ ხასიათის გამოჩხრეკით, რომელიც განსაზღვრულ წარმოების ურთიერთობაში კონკრეტიულათ აკავშირებს საქონლის მწარმოებელ საზოგადოებას, მიეცა საშუალება საქონლის ფეტიშური ხასიათის გაგებისა და მით მთელი თანამედროვე საზოგადოების სოციალურ გამოცანის გადაჭრისა.

ეს იყო პრობლემის ახალ ნიადაგზე დაყენება, რომლის საშუალებითაც მარქსის მიერ კითხვის გარკვევა დიამეტრალურათ განსხვავდებოდა ძველი კლასიკებიდან — სმიტ-რიკარდოდან. რაში გამოიხატებოდა გნსხვავება, ამაზე შემდეგ წერილში.

**შვარცი.**

# შინაური ამბები.

✦ მთავრობამ ნება არ დართო სახალხო უნივერსიტეტს ქართულ ენაზე გადაეხადნა გოგოლის პატივსაცემი დღესასწაული.

✦ „თფ. ფურცელს“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ შემდეგს: — დღევანდელ ნომერში „ნოვ. ვრემია“ გვაუწყებს დიდძალ ბოროტ-მოქმედებას ეჩმია-

ძინის სინოდის ყოფილ პროკურორის—ფრენკელისას, რომელიც ამ ჟამათ ეკატერინოსლავის საგუბერნიო სატუსაღოთა ინსპექტორათ იმყოფება და რომელსაც თურმე მრავალი ბოროტ-მოქმედება აღმოაჩნდა ტუსაღთა გამოკვების საქმეში.

✦ 15 მარტს პოლიციამ ექიმის თანადასწრებით გასინჯა ივანე დათებოვის მაღაზია და აღმოაჩინა 15 ბოჭკა (75 ფუთი) გაფუჭებული სელიოდკა, რომელიც მთლად დამპალი იყო. გაფუჭებულ თევზის ბოჭკებს ნავთი გადაასხეს და მტკვარში გადაჰყარეს.

✦ კახეთში სოფ. აწყურსა, ყვარელსა და ძველ გავაზში წვრილი კრედიტის ამხანაგობანი დაუარსებიათ. გლეხობა პირველად ძალიან ეჭვის თვალით მოეკიდა თურმე ამ საქმეს, მაგრამ შემდეგ, როცა დაწვრილებით გაუგიათ საქმის ვითარება, დათანხმებულან. ყვარელში ლაპარაკი ჰქონიათ იმაზე, რომ ნაწილი ფულისა, რომელსაც სახელმწიფო ბანკიდან მიიღებენ სესხად ძირითად თანხისთვის, გადასდონ გოგირდისა და შაბიამანის გამოსაწერად კავკასიის სამეურნეო საზოგადოებიდან.

✦ **„აბხაზური ან-ბანი“**. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, სამოსწავლო უწყების საფასით ახლო მომავალში გამოვა აბხაზთათვის შედგენილი „ანბანი“ (რუსულის ასოებით).

✦ ხონში დაარსდა წ-კ-გ. საზოგადოების განყოფილება. თავმჯდომარეთ არჩეულია დირექტორი სამასწავლებლო სემინარიის, ბ-ი ალექსი ქიქინაძე.

✦ **ქვიტირი**. ამ სოფელში განზრახვა აქვთ ბიბლიოთეკის დაარსების; სადაც ჯერ არის ამის შესახებ თხოვნაც შეიტანეს.

✦ **კუხი**. აპრილის 1 ს. კუხში დანიშნულია წლიური კრება ქუთაისის გუბერნიის პირველ მეაბრეშუმეთა ამხანაგობის.

✦ გაზეთებს ატყობინებენ კავკავიდან: გუდერმესაში, როდესაც ჩეჩნებს იარაღის აყრა მოუნდომეს—მოხდა შეტაკება. ჩსუზუქათ დაიჭრა ერთი სალდათი. ჩეჩნების მხრით 3 მოკლულია, 8 დაჭრილი.

## რუსეთის ცხოვრება

—,—

✦ თავის მკვლელობა ციხეში. კურსკიდან ატყობინებენ პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს, რომ ქალაქის სატუსაღოში სამმა ტუსაღმა, რომელთაც ჩომოლრჩობა ქონდათ გადაწყვეტილი — მათთან შემოსულ ციხის ზედამხედველს რევოლვერი წაართვეს, რომლითაც ერთმა მათგანმა ჯერ ორივე ამხანაგი სასიკვდილოთ დასჭრა და მერე თითონაც თავი მოიკლა.

✦ რუსეთის გაზეთები იტყობინებიან, რომ თითქმის ყველა სატუსაღოებში მძვინვარებს სახადიო. სატუსაღოს ადმინისტრაციამ აღკრძალა ერთის ციხიდან მეორეში გადაყვანა ტუსაღებისაო.

✦ რუსულ გაზეთებისავე სიტყვით, ჭეშმარიტ რუსთა კავშირის წარმომადგენელთა კრებას დაუდგენია, კავშირიდან გამორიცხოს ცნობილი დეკანოზი ვოსტორგოვი.

✦ ჩერდის ერობა შესდგომია მაზრაში საყოველთაო სწავლის შემოღებას. ამ დღეებში გაუხსნიათ 14 სასწავლებელი. აქედან სამი სკოლისთვის გოგოლის სახელი დაურქმევიათ.

✦ პეტერბურგში, სახელმწიფო ფულის დასამზადებელ სახელოსნოს საბეჭდავ განყოფილებაში აღმოაჩინეს, რომ ვიღაცას მოუპარავს 378 ბლანკი ფულისა, თითო 25 მანეთიანი. სახელოსნოს ფანჯარა გატეხილი აღმოჩნდა, მავთულის ბადეც ჩახეული იყო.

## უცხოეთი

—:—

**ბებელის იუბილეი**. წარსულ 5 მარტს 40 წელიწადი შესრულდა მას აქეთ, რაც გერმანიის სოციალ-დემოკრატიის განთქმულმა მეთაურმა ბებელმა როგორადაც დეპუტატმა პირველი სიტყვა წარმოსთქვა ჩრდილოეთ-გერმანიის პარლამენტში. იუბილეის დღეს ბებელის სავარძელი გერმანიის პარლამენტში მორთული იყო წითელი ვარდებით. ბებელი ამ ჟამად-ავადმყოფობის გამო არ დაიარება რეიხსტაგში, მაგრამ იუბილეის დღეს იგი მაინც დაესწრო სხდომას, - სიტყვა - კი არ წარმოუთქვამს, რადგან ექიმისაგან გადაჭრით აკრძალული ჰქონდა ლაპარაკი, თუმცა იმ დღეს რეიხსტაგი არჩევდა სამხედრო ბიუჯეტს, რომლის შესახებ ბებელი ყოველ წელს აუცილებლად წარმოსთქვამდა ხოლმე სიტყვას. რეიხსტაგის ყველა პარტიის წარმომადგენელნი მიდიოდენ ბებელთან, იუბილეის ულოცავდენ და მორჩენას უსურვებდენ მას.

✦ სერბიის მეფის მემკვიდრემ გიორგიმ უარი განაცხადა თავის უფლებაზე.

სერბიის მეფე პეტრე მთელ ორ საათს ესაუბრა თურმე თავის შვილს. მეფეს მკაცრი შენიშვნით მიემართა თავის მემკვიდრისათვის—ნუ აღელვებ ხალხს ავსტრიის წინაღმდეგაო, თან თურმე დასძინა—ამ შენიშვნას რუსეთისა და საფრანგეთის ელჩების წინადადებით გაძლევო. ამის პასუხათ მემკვიდრეს ეთქვა: „მე მთელი სერბიის ერის აზრს და სურვილს ვეთანხმებიო. რაც შეეხება ისეთ ფლიდის მინისტრის აზრს, როგორიც არის გარეშე საქმეთა მინისტრი მილოვანოვიჩი, მე ღრმა ზიზღის მეტს ვერასა ვგრძნობ იმის აზრებისადმიო.

ამის შემდეგ მემკვიდრე წავიდა სამხედრო სამინისტროში და იქ დიდხანს ეთათბირა სამხედრო მინისტრს გენერალ ჟივკოვიჩს, რომელიც დაახლოვებული მეგობარია მემკვიდრისა და მასთან იგი ითვლება სერბიის სამხედრო პარტიის მეთაურად.

როგორც რუსეთისა, ისე უცხოეთის გაზეთებიც სწერენ, რომ ავსტრიის მთავრობის მოთხოვნით ათქმევინეს უარი სერბიის ტახტის მემკვიდრეს თავის უფლებაზე, რადგან იგი მომხრე და მეთაური იყო სამხედრო პარტიისა.

### სპარსეთი.

ცნობილი პანოვი 50 თანამოაზრეებით მოვიდა ასტრაბადში. მცხოვრებნი თანაგრძნობით შეხვდენ პანოვს, რომელიც გადავიდა რევოლიუციონერების მხარეს. თითქმის მთელი მაზანდარა რევოლიუციონერების ხელშია.

**თავრიზი.** სოც. დემოკრატიულ პარტიამ ქალაქის დიდ მოედანზე მრავალრიცხოვანი სახალხო მიტინგი გამართა. ამაღელვებელ სიტყვების შემდეგ ხალხმა ქართველების წინამძღოლობით და წითელი დროშებით გაიარეს უმთავრესი ქუჩები—„გაუმარჯოს კონსტიტუციას, გაუმარჯოს განახლებულ სპარსეთს“-ის ძახილით. („Закав.“)

— რევოლიუციონერებმა აიღეს ქალ. მეშესედერი, კასპიის ზღვის პირად.

— რუსეთის ასტარაში მივიდა ასი ყაზახი; ამას გარდა იქ გააძლიერეს დამცველი რაზმი.

— სპარსეთის ჯულფაში რევოლიუციონერები-ღა დარჩენ. დანარჩენი მცხოვრებლები სულ სხვა ადგილებში გადასახლდენ, რადგან ელიან, რომ მალე შაჰის ჯარი დაეცემა ჯულფასაო. იქ ბერი კავკასიელი მოდის რევოლიუციონერების საშველად. ქართველებმა და სომხებმა სიმაგრეები ააშენეს.

— კორესპონდენტები ერთხმად ირწმუნებიან, რომ მალე სპარსელი რევოლიუციონერები თავრიზიდან, კაზვინიდან, ისპაჰანიდან და სხვა ადგილებიდან მწყობრად, ერთ და იმავე დროს გაილაშქრებენ თეირანისკენო.

ამ ჟამად შაჰსა ჰყავს შემდეგი ჯარი: თავის სასახლის დასაცველად ბაღეშაჰში: 1500 ქვეითი ჯარის კაცი, 600 ცხენოსანი და 100 არტილერისტი; თეირანის დასაცველად: 800 ყაზახი, 2,300 ჯარის კაცი, 350 არტილერისტი და 300 ჟანდარმი; მაშასადამე შაჰს სულ ჰყავს—5,950 კაცი. რუსეთის საელჩოს იცავს 25 რუსი ყაზახი, სხვა საელჩოებს იცავენ ყაზახები ლიახოვის ბრიგადიდან.

## კაპიტალისტური კონცენტრაცია
### ამერიკაში

—:—

„ამერიკა, როგორც ახალ მსოფლიო სახელმწიფო წარმოებისა“ — ასეთის სათაურით გამოვიდა ამ მოკლე ხანში გერმანულ ენაზე წიგნი, რომელიც ფრიად აშკარა სურათს გვიხატავს იმისას, თუ ამერიკა ამ უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში როგორ განვითარდა ეკონომიურად. მოგვყავს რამდენიმე უფრო საყურადღებო ცნობები.

შეერთებულ შტატებში დღეს დღეობით მოქმედებს 440 ტრესტი*), რომელსაც შეკავშირებული აქვს 8600 ფირმა და საზოგადოება. შვიდ ტრესტს (ამაში შედიან შაქრისა, თამბაქოსა, ნავთისა და სპილენძისა) აქვს კაპიტალი 10 მილიარდი მარკა; დანარჩენ ექვსის სარკინისგზო თითოეულ დიდრონ ტრესტის კაპიტალი უდრის 4 მილიარდ მარკას, მორგანის ტრესტი უდრის 5 მილიარდ მარკას. $^{3}/_{4}$ მთელის რკინისგზის ლიანდაგისა (რომლის სიგრძე აღემატება ევროპის ყველა რკინის გზებს ერთად აღებულს) შვიდი კაცის ხელშია.

მთელი შემოსავალი ფოლადის ტრესტისა 1906 წ. უდრიდა 2300 მილიონ მარკას, ხოლო წმინდა მოგება დარჩა 533 მილიონი მარკა. ფოლადის ტრესტის წარმოებაში (სახლის ფეჩებისა, ქვანახშირის მაღაროებისა, რკინის გზის ლიანდაგებისა, და სხვა გვარ ქარხნებში) მუშაობს 170,000 მუშა, რომლის ხელფასი 1906 წელს 500 მილიონ მარკას უდრიდა. ტრესტის კასაში მუდამ არის 200 მილიონი მარკა ნაღდ ფულად. 1600 სხვა და სხვა წარმოება ეკუთვნის ფოლადის უძლიერეს ტრესტს. უმთავრესი აქციონერი ამ ტრესტისა, კარნეჯი, ყოველ წლიურ დივიდენდს (მოგებას) იღებს 80 მილიონ მარკას.

თითქმის ასეთსავე უზარმაზარ რამეს წარმოადგენს სანავთო ტრესტი როკფელერისა. ეს ტრესტი ყოველ წლიურათ ამზადეს 5 მილიონ გალლონ კეროსინს. უკანასკნელ 24 წლის განმავლობაში სანავთო ტრესტმა წმინდა მოგება მოიტანა 3 მილიარდი მარკა.

შეერთებულ შტატების ნაციონალური სიმდიდრე ჰფასობს 115 მილიარდ დოლარათ. $90^{0}/_{0}$ ამ შეძლებისა მთელ მცხოვრებთ ერთი პროცენტის ხელშია. იმ დროს, როცა 84,000 კაცს 103 მილიარდი დოლლარი აქვს, 83 მილლიარდ ადამიანს მხოლოდ $11^{1}/_{2}$ მილიარდი ეკუთვნის, ანუ 140 დოლლარი თითეულ კაცს.

ეს ფაქტები მეტად მჭერმეტყველურად ღაღადებენ, თუ რამდენათ სწორეა კარლ მარქსის მიერ აღნიშნული ტენდეინცია კაპიტალისტურ განვითარებისა.

---

*) კაპიტალისტების სამრეწველო კავშირი.

## მუშათა შორის

—:—

ჩვენს მოდუნებულ ცხოვრებაში რომ თან და თან ფესვებს იდგამს საერთო აპატია და ინდიფერენტიზმი, ამაზე ლაპარაკიც მეტია, მხოლოდ სამწუხაროა ეს მოვლენა უფრო იმ მხრით რომ ამ სენს მუშათა ნაწილი მეტათ ჰყივს შეპყრობილი. რა ვქნათ? რა გზა გამოვნახოთ? აი კითხვები, რომლებიც არა ერთსა და ორ შეგნებულ მუშას აინტერესებს და აღონებს.

ჩვენს ეკონომიურ ორგანიზაციებს, რომელსაც ძალიან ადრე უსწრო ზამთრის სუსხმა, კიდევ გამოაკლდა ერთი პროფესიონალური კავშირი არა ძალ-მომ-

რეობითი სიკვდილით, არამედ თავისითმან ერთი წელიწლივს იცოცხლა. ეს პროფესიონალური კავშირი იყო თბილისის თამბაქოს მუშათა საზოგადოება, რომელიც დღევანდელ პირობებისა დაგვარად, რაც შესაძლებელი იყო, მუშაობას არ გაურბოდა. და ქარხნის პატრონებიც ასე თუ ისე ანგარიშს უწევდაენ ამ დაწესებულებებს; იბარებდენ საზოგადოების გამგეობის წევრებს და ორივე მხრის შეთანხმებით ანაწილებდენ მუშებში საქმეებს, გამგეობის შემოწმებითვე ღებულობდენ ახალ-მუშებს, გამგეობის შეკითხვითვე ისტუმრებდენ მუშებს და სხვა. გამგეობაც თავის მხრით ყოველ ღონეს ხმარობდა მუშებში არსებული არევ-დარევა მოესპო, ლოთობას და ასეთს უზნეობას ჰგმობდა როგორც ამხანაგურ წრეებში, ისე პრესის საშუალებით. გამგეობა ვერც კი აუდიოდა, იმდენი გასასწორებელ საქმეები იყრიდა თავს ყოველთვის ჩვეულებრივ კრებაზე. ასე თუ ისე გამგეობა დასახულ მიზანს რაც ძალი და ღონე შესწევდა ემსახურებოდა. დღეს გამგეობა იძულებული გახდა შეეჩერებინა საზოგადოების მოქმედება, რადგან საწევრო გადასახადი სრულებით აღარ შემოდიოდა, და თითქმის ვალებიც დაედოთ გამგეობას, რადგან აუცილებელ ხარჯებს ვერ უსწორდებოდა. საზოგადოების წევრებში დღეს უკმაყოფილება გაისმის, სად არის გამგეობა, რა იქნა, საზოგადო კრება რათ არ მოიწვია და არ გაგვაგებინა რაშია საქმეო. წევრების ასეთი მოთხოვნა ერთი მხრით კანონიერია, რადგან დაწვრილებით მან არა იცის რა საზოგადოების ბედ-იღბალისა, და კერძოთ გადაცემას ამბისას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მხოლოდ გამგეობამ, როგორც სჩანს, ვერ მოიწვია საზოგადო კრება უსაღსრობის გამო. ერთად ერთი საშუალება არის საზოგადო კრების მოწვევა ამავე საზოგადოების ფეხზე წამოსაყენებლად. ყველამ ვიცით ასეთი საზოგადოების მნიშვნელობა და ამაზედ ლაპარაკს აღარ განვაგრძობ. გამგეობას რაც უნდა დაუჯდეს, ეს უკანასკლელი ზნეობრივი ვალი უნდა მოიხადოს და უნდა მოიწვიოს საერთო კრება, წევრებს უნდა გააცნოს დალგებით საქმის ვითარება. გამგეობა კარგა ხანია რაც მუშაობს, და ამიტომ მოსალოდნელია მისი ძალ-ღონე შესუსტებული დარჩეს მომავალ შრომისათვის. და თუ წევრები მოისურვებენ თავიანთი დაწესებულების არსებობას, ამისათვის ახალი გამგეობაც უნდა იქნეს არჩეული, რომელიც შეუდგება საქმეს ახალ ენერგიით და ახალ ძალ-ღონით.

**იავნანა.**

# პროვინცია

**კლდეეთის საზოგადოება.**

აქაურ ხალხის მიერ სხვა და სხვა გვარ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათადმი მისწრაფებაზე ლაპარაკიც მეტია. ამნაირი საქმეებისთვის ამათ არც აქნამდის შეუწუხებიათ თავი და არც დღეს იწუხებენ. ენატანიობა, ცილისწამება, ძლიერისგან სუსტის დაჩაგვრა,—აი რა თვისებები ახასიათებენ აქაურების უმეტესობას! უკანასკნელის გამომხატველათ ჩვენ საზოგადოებას მოევლინა ერთი ჯგუფი ფუტკარაძეებისა, რომელსაც მეთაურობს მ. ფუტკარაძე შვილითურთ, ეს უკანასკნელი მეტად თავ აშვებულია. მოწინააღმდეგეს ხშირათ გაისტუმრებს ხოლმე მუქარით: «გაგისწორდები». ამ ვაჟბატონმა ამ რამდენიმე დღის წინათ ერთი მეტად აღმაშფოთებელი საქმე ჩაიდინა. დახლოვებით ღამის ათი საათი იქნებოდა, როდესაც ის შეუხტა სახლში ძალზე გაჭირვებულ, ძლიერ მხდალ გლეხს წ. კუტალეიშვილს და საშინლად სცემა. ძალზე ნაცემი გლეხი საჩეჩქე კოროშში შევარდნილიყო და იქ გაეტარებია ღამე. ამ ყვირილზედ წამოვარდნილა ლოგინიდგან კუტალეიშვილის 8 წ. ვაჟი და დაფეთებულ ცხვარივით მივარდნილიყო მეზობლისას და იქ გაეტია ღამე

როგორც გამოირკვა, ამ დაცემის მიზეზი შემდეგი ყოფილა: გლეხი კუტალეიშვილი დაახლოვებით ოცდა ათი წელი იქნება, რაც თავის ძმასთან (დედიდან) თ. გოგოლიძესთან სცხოვრობდა. ეს უკანასკნელი, თუმცა ღრმა მოხუცებული არ იყო, მაგრამ ყოველგვარ შრომის უნარს და საღ გონებას მოკლებული იყო და ამიტომ კუტალეიშვილი, თავის საკუთრებას მოკლებული, სცხოვრობდა ძმის, გოგოლიძის, ადგილზედ; იქ შრომობდა, ოფლს ღვრიდა და ისტუმრებდა ყოველგვარ სახელმწიფო გადასახადს, «კამენარიაშიაც» გ-თან სწერია. როგორც ამბობენ თავიდან, როდესაც გლეხები დასახლებულან ს. ცხრაწყაროში, ნაწილი მიწისა ფუტკარაძეებს დაუტოვებიათ და ნაწილი გოგოლიძისთვის მიუციათ. გასულ წელს გოგოლიძე მოკვდა და ხსენებულ ჯგუფს ფუტკარაძეებისას განუზრახავთ ამ ადგილის ჩამორთმევა კუტალეიშვილისათვის და მისი პატარა ბავშიანათ ღვთის ანაბარად მიტოვება. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ისიც, რომ ამ საქმის სისრულეში მოყვანას ხელს უწყობს სოფლის ავან-ჩავანი რამდენიმე პირი. ამათ ააგულიანეს კუტალეიშვილი, რომ მას პირობით გადაეცა ფუტკარაძეებისთვის ადგილი და ცოტა ფული მაინც აეღო სულ ტყვილად მის დაკარგვას. შეაშინეს საწყალი კუტალეიშვილი, დაადებიეს მისი სურვილის წინააღმდეგ პირობა და ნიშნათ გულკეთილობისა და სათნოებისა მისცეს მას ორი კვირის განმავლობაში ცხოვრების ნება თავის სახლში და მერე კი უნდა მოშორდეს იქაურობას. ეს ამბავი იმ დღესვე გაიგეს იმ პირებმა, რომლებსაც ორ-ორი ციდა მიწა შეხვდებოდათ გ-ის ადგილიდან, თუ კი ჩაიდენდენ უსამართლობას: ძმას წართმევდენ—და თვითონ მიისაკუთრებდენ. ამათ მალდატანებით პირობის ჩამორთმევა გაასაჩივრეს და ცდილობენ რამე ნაირათ პირობის ძალა გააუქმონ. ვუსურვოთ, რომ იმ პირებს, რომელნიც ამ საქმისთვის თავს დებენ, მიეღწიოსთ მიზნისთვის და გადაერჩინოთ კუტალეიშვილი იმათი ბრჭყალებისაგან, ვისი საკბილოც ის ხდება.

**კვალითელი.**

—

**სოფლის ვითარება.**

საშინელ სურათს წარმოადგენს დღევანდელი სოფელი. აუწერელი გაჭირვება სულს უხუთავს და ახრჩობს გლეხ-კაცობას. ჯერ კიდევ მოსავლამდე მთელი რვა თვეა, მაგრამ ეხლავე თითქმის უმეტეს სოფლებს დასავლეთ საქართველოსას ეტყობა სიმინდის სიძვირე და უქონლობა. მრავალთ სათესლეც კი აღარა აქვთ საკუჭნაოში! სოფელი უმწეო მდგომარეობაშია. ჩვენი გლეხობა არასოდეს არ იყო კარგ მდგომარეობაში, მაგრამ დღევანდელ გაჭირვებამდე ის არასოდეს

208 / 1909

არ ჩამოქვეითებულა. ჩვენს თავშენახულ გლეხობას აღარაფერი არ აბადია. მთელი სოფელი რომ დაიარო, იშვიათად ნახავთ ისეთ ოჯახს, შავი დღისათვის რომ ორი მანეთი ჰქონდეს შენახული. ამ უკანასკნელ ხანებში სოფლად ძალიან მატულობს ავადმყოფობა და მრავალთ საიქიოსკენ ისტუმრებს. ძვირად შეხვდებით დასავლეთ საქართველოში ისეთ სოფელს, სადაც დღიურად 3 — 4 მიცვალებულს არ აბარებდენ მიწას.—დიახ სოფლელთა ცხოვრება უნუგეშოა, მაგრამ ვინ არის გამკითხავი ამათი გაჭირვების? არავინ!—ყოველი არამზადა დღეს სოფლის ბატონ-პატრონათ გადაქცეულა. ოდესღაც სოროებში მიმალული ვაჟბატონები დღეს ცხოვრების ზედა-პირზე ამოცურებულან „მოსე მწერლები“ სათავეში მოექცენ ცხოვრებას და კვლავ ძველებურად დაეპატრონენ სოფელს.—სოფლის გაჭირვებას არც ოდესღაც ხალხის მოქომაგეთ აღიარებული ვაჟბატონები უწევენ ანგარიშს. ზოგი სრულიად ჩამოშორდა „ხალხის კეთილდღეობაზე მზრუნველთა ბანკს“ და თავიანთ კერძო ცხოვრების მოგვარებას შეუდგა. ზოგი „გამანტაყისტდენ“ და თავის უგვანო მოქმედებით სოფელი სრულიად აათხრეს, ზოგნი „აზეფობასაც“ აღარ თაკილობენ და ძმათა გაცემას საგმირო საქმეთ სთვლიან. დიახ—სოფელი გაჭირვებულ მდგომარეობაშია, სვავ ყორნები გაჭირვებულთა ხარჯზედ ნადიმს იხდიან...

**ილია ბახტაძე.**

# მოწოდება

**(ქართველ საზოგადოებისადმი ეგნატე ნინოშვილის საფლავზე ძეგლის აგების შესახებ).**

15 მაისს 1909 წ. შესრულდება 15 წელიწადი მას შემდეგ, რაც ჩვენმა ღარიბმა ლიტერატურამ დაკარგა ერთი უნიჭიერესი მწერალთაგანი. ჯერ ისევ ახალგაზრდა ბელეტრისტი ეგნატე ნინოშვილი (ინგოროყვა).

მიუხედავად ხანმოკლე მოღვაწეობისა, განსვენებულმა უკვე დაიდგა ჩვენს გულში ხელთუქმნელი ძეგლი, რომელსაც დაიმსახურებენ ხოლმე მარტო დიდბუნებოვანი მოამაგენი ქვეყნისა. იგი უკვე ჩაეწერა იმ მცირე რიცხოვან რაზმში, რომელიც წარმოადგენს დიდებას და სიამაყეს ჩვენის ხალხისას. ამის გამო პატივისცემა მისი ხსოვნისა, შეადგენს ჩვენთვის აუცილებელ მოვალეობას.

ამ ბოლო დროს ქართველ საზოგადოებაში დაიბადა სურვილი ხსენებულ მოვალეობის შესრულებისა. აქა-იქ კიდეც იკრიბება შემოწირულებანი საყვარელ მწერლის ძეგლისათვის. ჟურნალ «ჯეჯილი“-ს რედაქციის თხოვნით ანასტასია მიხეილის ასულმა წერეთლისამ უკვე გამოიტანა ნებართვა ადმინისტრაციისაგან ფულის მოსაკრეფათ ხელის-მოწერის გამართვით და 7 ამ თებერვალს შეადგინა განსაკუთრებული კომიტეტი, რომელმაც უნდა აწარმოვოს ეს საქმე თავისი თავჯდომარეობით.

კომიტეტის წევრნი არიან: არსენ მამულაიშვილი, ვარლამ ჭიჭინაძე, მიხეილ ჩოდრიშვილი, ნიკო ჭიჭინაძე, პეტრე გელეიშვილი, სამსონ ფირცხალავა და სტეფანე ჭრელაშვილი.

კომიტეტი, აცნობებს რა ზემოხსენებულს საზოგადოებას, სრულიად დარწმუნებულია, რომ ყოველი შეგნებული ქართველი აღმოუჩენს მას სათანადო დახმარებას როგორც საკუთარის წვლილის შემოტანით, აგრეთვე ნაცნობთა გამხნევებით ისეთი წმინდა მოვალეობის შესრულებლათ, როგორიც არის პატივისცემა დამსახურებული მოღვაწისა ჩვენს მწერლობაში, დაუვიწყარის ეგნატე ნინოშვილისა.

შემოწირულება მიიღება «ჯეჯილი»-ს რედაქციაში (არტილერიის ქუჩა № 5) და აგრეთვე კომიტეტის თითოეულ წევრთან. პროვინციებში ფულის მოკრეფა მიენდობა საზოგადო დაწესებულებებს და კერძო პირებს, რომელთა სია ცალკე იქნება გამოცხადებული გაზეთების საშუალებით.

# წერილი რედაქციის მიმართ

(ლეჩხუმიდან)

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ ჟურნალ **„იალქანში“** შემდეგს:

გასული წლის ნოემბერში **აკაკის** იუბილეისა გამო ცაგერლაილაშის მასწავლებლებმა და ინტელიგენციამ წარმოდგენა გამართა, რომლის შემოსავალი — 100 მან. იუბილიარის ფონდის გასაძლიერებლათ გაიგზავნა უკვე სადაც ჯერ არს.

ჩვენდა განსაცვიფრებლათ გაზ. **,,დროების“** მე-17 ნომერში, აკაკის ფონდის ანგარიშებში ვკითხულობთ, რომ **ვითომც** ეს 100 მან. ლავ. მახარაძეს (მაზრის უფროსის თანაშემწეა) და კნ. ტიპი გელოვანისას უნდა შეეწიროსთ ფონდისათვის. ამაზე ჩვენ დროზეე ვაუწყეთ სიმართლე **,,დროების“** რედაქციას, მაგრამ დღემდე არაფერი გამოაშკარავა და არ ვიცით რისთვის.

ეს ფული — 100 მან. არა ლ. მახარაძის და კ. ტიპი გელოვანის წყალობა და შემონაწირია, არამედ ზემოხსენებულ წარმოდგენამ დასტოვა და იმ ხალხის წვლილია საყვარელ მგოსანის ფონდის გასაძლიერებლათ გამოღებული, რომელ ხალხის ავლადიდების მითვისებაც არ ახალია. მართალია. ლ. მახარაძემ და ტიპი გელოვანისამ ჯეროვანი შრომა გასწიეს წარმოდგენის მოწყობაში, მ.გრამ ეს ფული იმათ მაინც არ ეკუთვნისთ და არ ვიცით სხვისი პურმარ ლით თავის მიცვალებულს შენდობა რათ შეუთვალეს.

მაგრამ, დალოცვილ ლეჩხუმში ყველაფერი შესაძლებელია— ისეთი ჟამი დაგვიდგა. **მკვიდრი.**

ყოველკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ჟურნალი.

„იალქანი“

| | |
|---|---|
| თფილისსა და თფილის გარეთ ერთ წლით | 5 მ. — |
| ნახევარი წლით . . . . . . . . . | 3 მ. — |
| სამი თვით . . . . . . . . . . | 1 მ. 60 კ. |
| საზღვარ გარეთ ერთი წლით . . . . | 8 მ. — |
| ნახევარი წლით . . . . . . . . . | 4 მ. — |
| სამი თვით . . . . . . . . . . | 2 მ. — |

**ცალკე ნომერი ყველგან ორი შაური.**

რედაქციის დროებითი ადრესი: Елизаветинская, № 17. При Типографіи Кикнадзе.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია დიდ ხანს არ ინახავს. ინახება ერთი თვით მხოლოდ მოთხრობები და დიდი წერილები.

ფოსტით ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Г-ну Михаилу Давидовичу Кикнадзе. Елизаветинская ул., № 17. Типографія Кикнадзе Тифлисъ.

რედაქტორ-გამომცემელი **ლევ. დადიშკელიანი.**

ელექტროტიპოგრაფია მ. დ. კიკნაძისა, ტფილისი. ელისაბედის ქუჩა № 17.